

F 32.897
3

მარტინ გებულოვი
მარტინ გებულოვი

ნ. ა. სტაციონარი

ხათოღული ეითითებანი ფუტკალის
ახალი რაზახეგის მიღების
ჟაჟანი



დაეფუძნ -
ეფუძნებათვის

საქართველოს სასრ ცოდნის მიურნეობის სამინისტრო
მეცნიერების, პროპაგანდისა და კადრების მომზადების
მთავარი სამშაროო ველი



ნ. ა. სტეფანიშვილი

მათოლარი მითითებანი ფეხქრის ახალი
ოჯახების მიღების შესახებ

(დამწუხა მეცნტრის მიმღების)

323



ՀԱՇՎԵՑՔՆՈՒՅՈՒՆ Դ. Օ. Զ Ե Հ Ղ Չ Լ Վ Հ Ջ Ո

ԵՎ 11223

ՄԵԿ № 564

ՀԱՇՎԵՑՔ 3000

Ցանկացած թարմոցի 27/V-65 թ. եղանակով համապատասխան գույքը 10/VIII-65 թ.
անդամակից է 6X10. և սկզբան տաճախ 2,95.
Տաղանձական պատճենագործություն տաճախ 2,45.

Շ Հ Վ Ո Ս Ո

Ցանկացած թարմոց գույքը առաջանակ սայահատական և սահմանական պատճենագործություն տաճախ 2,45.
Տաղանձական պատճենագործություն տաճախ 2,95.

Տիպոգրաֆия Грузинского ордена Трудового
Красного Знамени сельскохозяйственного института
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 33.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი ისტორია შორეული წარსულიდან მომდინარეობს. ძველევარების აზრით იგი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 15 ათასი წლის წინათ შექმნილა.

იმ დროს, როდესაც მოსახლეობამ ჯერ კიდევ არ იცოდა შაქ-
რის წარმოება—თაფლი იყო ერთ-ერთი ტებილი პროდუქტი. მას
ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, როგორც კვების დარგში, ასევე
მედიცინაში; ხოლო სანთელს ფართო გამოყენება ჰქონდა საეკლე-
სიო ცერემონიალებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მეფუტკრე-
ობის განვითარებას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი, რის შე-
დეგადაც საგრძნობლად გაიზარდა ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა
და პროდუქტიულობა.

მეფუტკრეობის ინტენსიური განვითარება პირველ რიგში უნდა
ხდებოდეს ფუტკრის ძლიერი ოჯახების შექმნით, რომლებიც მიი-
ღება კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად.

ყველა მეფუტკრუს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ერთი ძლიე-
რი ოჯახი ყოველთვის შეაგროვებს. მეტ თაფლს, ვიდრე ორი საშუა-
ლო სიძლიერის, ან 3—4 სუსტი ოჯახი. მოვლა-შენახვა კი ძლიერი
ოჯახებისა უფრო ადვილია ვიდრე სუსტი ან საშუალო ოჯახების.
ამიტომ აუცილებელია საფუტკრეში გვყავდეს მხოლოდ ძლიერი
და მაღალპროდუქტიული ოჯახები.




წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს დამწყებ მეფუტკრებს
ამ დარგის განვითარებაში, იმ ანგარიშით, რომ უმოკლეს ვალია მათ
ფართოდ დაინერგოს ფუტკრის ოჯახთა გმრავლების ახალი მეთო-
დები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების
ზრდასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ეს კი
თაფლის უხვი მიღების დიდ შესაძლებლობას მოგვცემს.

გ. 6. კურაკია

ଫୁଲକରିର ଦିନଲଙ୍ଘିର

ଫୁଲକରିର ଗାନ୍ଧିଜୀବିତ ସବ୍ରା ମହିରେବିସାଗାନ୍ ଉତ୍ସବରବ୍ଧେନ ଅଖାତ୍-
ରାଜ. ଅଖାତୀ ଗାର୍ହଶ୍ରେ ଲାରିକ୍ରେନିଲି ନନ୍ଦିଗୋଟେବି ନେଟପ୍ରେବିବାନ.

ଦ୍ୱାମତାରମ୍ଭି ଅଖାତୀ ଶ୍ରୀଗୁଣ ଏହିତି ଦେଇ ଫୁଲକରି ଲା ସାମ୍ଭୁଳିନ୍ଦ୍ର
20—30 ଅତିକି ମୁଖୀ ଫୁଲକରି. ଅଧିକ ଗାନ୍ଧିଜୀବିତ ନନ୍ଦିଗୋଟେବି
ପ୍ରେରପ୍ରେବିଲି ଦେଇବା ଲା ଅଖାତୀ ନନ୍ଦିଗୋଟେବି ନନ୍ଦିଗୋଟେବି—ମନମାଗୁଣି ମୁଖୀ ଫୁଲକରି
କ୍ରେବି. ଦ୍ୱାମତାରମ୍ଭି ଶ୍ରୀଗୁଣ ଏହିତି ନନ୍ଦିଗୋଟେବି ମାମାଲି ଫୁଲକରି
ଦେଇ. ଯ. ନନ୍ଦିଗୋଟେବି ଅଖାତୀ ଶ୍ରୀଗୁଣ ଏହିତି ଦେଇ ଫୁଲକରିରିବାନ,
ମୁଖୀ ଫୁଲକରିରିବାନ ଲା ମାମାଲି ଫୁଲକରିରିବାନ. ମାତ୍ର ଶରୀରି ଗା-
ର୍ବେଗନ୍ତିଲାଦାପ ଗାନ୍ଧିଜୀବିବାବ. (ନେ. ଶ୍ରୀଗୁଣ ନେ 1).



ଶ୍ରୀ. 1. a. ଦେଇ ଫୁଲକରି b. ମୁଖୀ ଫୁଲକରି c. ମାମାଲି ଫୁଲକରି

ଦେଇ ଫୁଲକରି ଉତ୍ସବ ଗ୍ରହଣିଲା ଲା ଦିନି. ମିଳି ସାମ୍ଭୁଳିନ୍ଦ୍ର ମିଳିନ୍
ପ୍ରେରପ୍ରେବିଲିମଦ୍ଦେବଲିନ୍ ଶ୍ରୀଗୁଣ ଉତ୍ସବ 0,25 ଗରାମି. ମୁଖୀ ଫୁଲକରି
ଏ ଉତ୍ସବ ବାରାରା ବାରାନିବା. ମିଳି ମିଳି ସାମ୍ଭୁଳିନ୍ 0,10 ଗରାମି ଉତ୍ସବି.
ବାନିଲି ସିଗର୍ବେ ଦେଇ ଫୁଲକରି ଏକୁ 18—20 ମିଲିମେଟିରି. ମୁଖୀ ଫୁଲକରି-



კარს კი 12—15 მილიმეტრი. დედა ფუტკარს ყველაზე კარგად ფუტკარს განვითარებული მუცელი და საკვერცხები, ფრთები და ხორციანი შედარებით თავის ტანთან უფრო მოკლე აქვს, ვიდრე მუშა ფუტკარს.

მამალი ფუტკარი უფრო დიდი ტანისაა ვიდრე მუშა ფუტკარი. მისი წონა 0,20 გრამია; ორჯერ მეტია მუშა ფუტკრის წონაზე. მამალი ფუტკარი ოჯახში ორგვითარ სამუშაოს არ ასრულებს, მისი დანიშნულებაა მხოლოდ დედის განაყოფიერება.

თუ საფუტკრეში არ გვინდა ახალი დედის გამოყვანა ამ შემთხვევაში მამალი ფუტკრების გამოყვანა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ისინი ბარტყის სტადიაში უფრო მეტ საკვებს ხარჯავენ, ვიდრე მუშა ფუტკრები. მოზრდილი მამალი ფუტკრებიც ოჯახში მუშა ფუტკრების მიერ მოტანილი თაფლით იქვებებიან.

მუშა ფუტკარი მდედრობითი სქესისაა. მას საკვერცხები ნაკლებად აქვს განვითარებული, რის გამოც განაყოფიერებული კვერცხისძებლობის უნარს მოკლებულია. მუშა ფუტკარი ასრულებს ყოველგვარ სამუშაოებს სკაში და სკის გარეთ.

მუშა ფუტკარი გამოიჩინება დედის მიერ დადებული მხოლოდ განაყოფიერებული კვერცხიდან, მამალი კი გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან მიიღება.


კვერცხის დადებიდან მუშა ფუტკარი სამი დღის შემდეგ გადადის მურის სტადიაში. პირველი სამი დღის განმავლობაში მას კვებავენ ფუტკრის რძით. მეოთხე დღეს მური ლებდულობს თაფლისა და ჰერს ნარევისაგან დამზადებულ საკვებს. ექვსი დღის შემდეგ ანუ მეცხრე დღეს კვერცხის დადებიდან ფუტკრები გადაბეჭდავენ უჯრედებს, რომელშიც მურია, სანთლისა და ჰერს ნარევის თხელი დენით.

გადაბეჭდილ უჯრედებში მური გადადის ჭუპრის სტადიაში. გადაბეჭდიდან 12 დღის შემდეგ უჯრედებიდან გამოდის ახალგაზრდა მუშა ფუტკარი. კვერცხისა და მურის სტადიას ეწოდება ღია ბარტყი. ჭუპრის სტადიას კი — გადაბეჭდილი ბარტყი.

ახლად გამოსული მუშა ფუტკარი სამ დღემდე ასაკისა მუშაობს უჯრედების დასუფთავებაზე. სამი დღიდან 13 დღის ასაკმდე კი ზრდის და კვებავს ბარტყის. 13—14 დღის ასაკიდან ფუტკრები უკვე გადადიან სკის გარეშე სამუშაოებზე. ამის შემდეგ ისინი მოზრდილთა რიცხვს ეკუთვნიან, მოაქვთ ბარტყისათვის წყალი, ჰერ და ნექტარი.

— ნა —

დედა ფუტკარი გამოიჩეკება განსაკუთრებულ უჯრედებში— სადედებში. სადედები არის ორგვარი. გაჭირვების სადედებულები სანაყრე სადედები. გაჭირვების სადედებს შენებს ფუტკარი მაშინ, როდესაც დედა მოულონებულად დაიკარგება. ასეთ სადედებს է შირად ჩამოაშენებენ ხოლმე ფიჭის შუა აღგილას; ხოლო სანაყრე სადედებს აშენებენ ნაპირებზე და ფიჭის ქვედა ნაწილზე (იხ. სურათი № 2 და № 2a).



სურ. 2. 1—ორი სანაყრე სადედე 2—ორი გაჭირვების სადედე. ერთიდან (მარჯვნივ) გამოსულია დედა, 3—დედა ფუტკარის კუპრი გადაბეჭდილ სადედეში.

დედა ფუტკარი სადედებში სდებს განაყოთიერებულ კვერცხს, რომლისგანაც სამი დღის შემდეგ განვითარდება მური. გადაუბეჭდავ მურს ფუტკარი კვებავენ უფრო კარგი ხარისხის ფუტკრის რძით, ვიდრე მუშა ფუტკრის გამოზრდისას. დედის გამოზრდისას ღია ბარტყს მთელ სტადიაში კვებავენ კარგი ხარისხის ფუტკრის რძით. 5,5 დღის შემდეგ გადაბეჭდავენ სადედებს, რომლისგანაც 7,5 დღის შემდეგ გამოდის ახალი დედა. ე. ი. დედის განვითარებისათვის კვერცხის დადებიდან გამოჩეკამდე სულ საჭიროა 16 დღე.


მამალი ფუტკარი იზრდება სამამლე უჯრედებში, რომლებიც ისეთივე აგებულებისაა, როგორც მუშა ფუტკრის, მხოლოდ უფრო დიდი მოცულობისაა. ფუტკრის განვითარების სტადიები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ფუტკრის განვითარების სტადიები

| სტადია | დედა ფუტკარი | მუშა ფუტკარი | მამალი ფუტკარი |
|------------------------------|-----------------|-----------------|-------------------|
| 1. კვერცხის | 3 დღე | 3 დღე | 3 დღე |
| 2. მურის | 5,5 " | 6 " | 6,5 " |
| 3. კუპარი—გადაბეჭდილი ბარტყი | 7,5 " | 12 " | 14,5 " |
| სულ | 16 დღე | 21 დღე | 24 დღე |

No 3
1980 წლის მარტი


ფუტკრის განვითარების სტადიები იხილეთ სურათზე № 3
დედა ფუტკრის სიცოცხლის ხანგრძლივობა 5 და მეტი წელის განვითარებაში, თუ იგი
მუშა ფუტკარი ცოცხლობს მთელი ზამთრის განმავლობაში, თუ იგი



სურ. № 3. სანაყრე სადედება (ჩემოთ)
გაჭირვების სადედება (ქვევით)

შემოდგომაზეა გამოყვანილი. იღრე გაზაფხულიდან იწყებს ბარტყის
გამოზრდას, მცირე რაოდენობით ნექტარსაც მოიტანს და მერე

კვდება. ზაფხულში ეი მუშა ფუტკარი უფრო ცოტასნ ცალკედონიან
ლობს—საცელად 40—45 ღლეს. ზაფხულში ივი დატვირთულია
შამუშაოებით, ამიტომ მისი ორგანიზმი უფრო მაღე ცვლება ვიღრე



სურ. 3. ფუტკრის განვითარების სტადიები
1. შური კერტცებიდან გამოსვლისას 2. ერთდღლანი
მური 3. ორდღლიანი მური 4. სამდღლიანი მური
4. ოთხდღლიანი მური 6: ზრდადასრულებული მური
გადაბეჭდის წინ 7. კუპრი გადაბეჭდილ უქრედში

ჰამთარში. ძველი ფუტკრების შესაცვლელად აუცილებელია ადრე
გაზიაფხულიდანვე ოჯახში გამუდმებით იზრდებოდეს ახალგაზრდა
ბარტყე, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახი დასუსტდება.

მამალი ფუტკარი ცოცხლობს მთელი ზაფხულის განმავლობაში,
მისი გამოჩეკიდან საშემოდგომო ღალიანობის დამთავრებამდე. ღა-



ლიანობის დამთავრებისას მუშა ფუტკრები იწყებენ მამლების უცნებელობა
ხოცვის, ვინაიდან ისინი დედის გასანაკონფიერებლად საჭირო უცნებელობა
არიან. აქედან იწყება მუშა ფუტკრების სამზადისი დაზამთრებისა-
თვის. მამლების დახოცვით ისინი საკვების ერთგვარ ეკონომისაც
აკეთებენ.

ფუტკრის ძლიერი ოჯახის უპირატესობა

ფუტკრის ძლიერი ოჯახი ყოველთვის მაღალპროდუქტიული უნ-
და იყოს, რომელიც გვაძლევს გაცილებით მეტ თაფლსა და სანთელს,
ვიდრე სუსტი ოჯახი. ძლიერი ოჯახი აღვილად იტანს არახელსაყრელ
ბუნებრივ პირობებს, უკეთესად იზამთრებს, ზრდის ბარტყს უფრო
ენერგიულს და განვითარებულს. ამიტომ ძლიერი ოჯახის ფუტკრები
უკეთესად იყენებენ დალიანობას, უფრო მეტი ნექტარი მოაჭირ და
დაავადების მიმართაც საკმაოდ გამძლენი არიან.

ძლიერ ოჯახში ახალგაზრდა „ძიძა“ ფუტკარი უფრო მეტია,
ვიდრე ეს საჭიროა ბარტყის აღსაზრდელად. ამიტომ იქ ახალგაზრდა
ფუტკარიც ფრენს ნექტარის შესაგროვებლად. სუსტ იზახებში კი
პირიქით ახალგაზრდა ძიძა ფუტკარი ცოტაა, რომლებიც მთლიანად
დატვირთულნი არიან ბარტყის აღსაზრდელად. ამის გამო ნექტარის
შესაგროვებლად სუსტი ოჯახებიდან მხოლოდ ხნიერი ფუტკარი
ფრენს.

მეფუტკრეობის კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით
2,0—2,2 კგ წონის ოჯახში აღზრდილმა ფუტკარმა ერთჯერ მოფ-
რენისას სკაში საშუალოდ მოიტანა 36,5 მილიგრამი ნექტარი, ხოლო
4,5—0,8 კილოგრამიან ოჯახში აღზრდილმა ფუტკარმა 20 მილი-
გრამი ნექტარი მოიტანა.

ფუტკრები 2,2 კ გრამიან ოჯახში აღზრდილნი 4,8 დღით მეტს
ცოცხლობენ, ვიდრე 0,9 კ გრამიან ოჯახში აღზრდილნი.

სკაში საჭირო ტემპერატურის დაცვაც ძლიერ ოჯახს უფრო უად-
ვილდება, ვიდრე სუსტს. გარდა ამისა სითბოს რეჟიმის დასაცავად
ყოველ 1 კგ ფუტკრის წონაზე სუსტი ოჯახი უფრო მეტ საკვებს
ხარჯავს, ვიდრე ძლიერი ოჯახი. ძლიერი ოჯახი უფრო კარგად იცავს
თავის ბუდეს, გარეშე მტრებისაგან. და გაქურდვისაგან.

ამიტომ უნდა ვეცადოთ საფუტკრეში გვყავდეს მხოლოდ ძლიერი
და მაღალპროდუქტიული ოჯახები.



საფუტკრის მოსაწყობად უკეთესია შერჩეული იქნეს მშრალი დაცვული მუნიციპალიტეტი. რომელიც ქარისაგან იქნება დაცული. უმჯობესია თუ საფუტკრეს მოვათავსებოთ • ბალებთან და საერთოდ თაფლოვან შეცენარეთა მასივებთან ახლოს. უნდა ვერიდოთ დიდ მდინარეებთან ან ტბებთან ახლოს საფუტკრის მოწყობას, ვინაიდან ღალით და-ტვირთული ფუტკრები ხშირად მდინარეში იღუპებიან.

სკები ერთმანეთისაგან დაშორებული უნდა იყოს 2, 5—3 მეტ-რით, რიგებს შუა მანძილი 3 მეტრი. სკების დაწყობა შეიძლება შახმატურად და ჭგუფურადაც. ჭგუფებს შორის მანძილი შეიძლება იყოს 5—6 მეტრი. ერთ ჭგუფში უმჯობესია 3 ან 5 ოჯახი მო-თავსდეს.

საფუტკრესთან ახლოს უნდა ავაგოთ პატარა შენობა ფუტკრე-ბისათვის საჭირო ინვენტარისა და მასალების შესანახად, ასევე თაფლის ამოსაწურად.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფუტკრების საშემოდგომო გამოყვანას. შემოდგომაზე გამოსული ბარტყი უფრო კარგად გამოიზამორებს და დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე ზაფხულში გამოყვანილი. ისინი უკე-თესად იყენებენ აღრე საგაზაფხულო ღალიანობას, ვიდრე უკვე დაბერებული ზაფხულში გამოსული ფუტკრები. ფუტკრის საშე-მოდგომო გამოყვანა ხელს უწყობს ოჯახთა აღრე გაზაფხულიდანვე გაძლიერებას.

გაზაფხულზე ფუტკარი გამოდის სკიდან და კუჭს იწმენდავს გაშინ, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 10—12 გრადუსს აღემატება. ძლიერ ოჯახად ითვლება ის ოჯახი, რომელიც გაზაფხულზე იყავებს 6—7 ჩარჩოს, საშუალო ოჯახი 4—5 ჩარჩოზეა, ხოლო სუსტი ოჯახი 3—4 ჩარჩოს ძლიერ ფარავს.

გაზაფხულზე სკაში უნდა დავტოვოთ იმდენი ჩარჩო, რამდენ-საც ფუტკარი ფარავს. ზედმეტი ცარიელი ჩარჩოები უნდა ამოვი-ლოთ და შევინახოთ, რომელიც დაგვჭირდება ბუდის გაფართოებისას. ზედმეტი ჩარჩოების დატოვებისას ბუდეში საჭირო ტემპერატურის დაცვა ძნელდება, ბუდე ცივდება და ბარტყის გამოყვანაც ნელი ტემ-პით მიმდინარეობს. სკაში უნდა დავტოვოთ სათბუნებელი ბალი-შები და დიაფრაგმა, მანძილე, სანამ კარგად დათბება.

მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს სკაში მაღალპროდუქტიუ-ლი დედის არსებობას. დედის კვერცხისმდებლობისათვის აუცილე-ბელია: ფიჭაზე იყოს თავისუფალი უჭრედები, ოჯახს უნდა ჰქონდეს

საკმაო რაოდენობის საკვები—თაფლი და ჭერა. ოჯახს უნდა ჰყავს დეს ახალგაზრდა ფუტკრები, რომელიც გამოყოფენ ფუტკრებას და კვებავენ დღესას. ამავე დროს ოჯახში უნდა იყოს საკმაო რაოდენობის ახალგაზრდა „ძიძა“ ფუტკრები ბარტყის კვებისა და აღზრდისათვის. ბუდეში ტემპერატურა უნდა იყოს 34—35 გრადუსი.

დაზამთრებისას აუცილებელია ფუტკრის ერთ ოჯახს დაუტოვოთ 18—20 კგ კარგი ხარისხის თაფლი. ამ საკვებიდან ფუტკრები ამზადებენ ჩეხს. ყოველ ერთ ჩარჩო ფუტკარზე გაზაფხულზე უნდა იყოს არა ნაკლები ერთი კილოგრამი თაფლი, ხოლო ერთ ოჯახზე 2—3 ჩარჩო ჭერა. ზოგჯერ საჭიროა ადრე გაზაფხულობით ჩარჩოზე გადაბეჭდილი თაფლის ზედაპირის მცირე რაოდენობით გადაფხევა პერიოდულად 3—4 დღეში ერთხელ. ამით ფუტკარს უფრო უადვილდება შიგ არსებული თაფლის ათვისება.

ბუდეში საკვების სიმცირე იწვევს დედა ფუტკრის მიერ კვერცხის დების შემცირებას, რაც ოჯახის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. რაც უფრო მეტია საკვები და ახალგაზრდა ძიძა ფუტკრები, მით უფრო დედა ადიდებს კვერცხის დებას და ოჯახიც ძლიერდება.

მოწინავე მეფუტკრეთა გამოცდილებიდან ჩანს, რომ ძალიან კარგ შედეგს იძლევა ადრე გაზაფხულზე ფუტკრის გამაღიზიანებელი ავება. საკვებს ამზადებენ 1 კგ შაქრის გახსნით 1 ლიტრ წყალში, რომელსაც დაემატება 25 გრამი საფუარი. შაქრის ბადაგს ადულებენ საფუარის დამატებამდე. შეიძლება საფუარის მაგიერ გამოვიყენოთ თაფლისა და ჭერის ნარევი. ასეთი საკვები აჩქარებს ოჯახის სწრაფად გაძლიერებას. მასში მეტი წონისა და გრძელი ხორთუმის მქონე ბარტყი იზრდება, ვიდრე იმ ოჯახში, რომელთაც არ კვებავთ.

ოჯახის გაძლიერებასთან და სითბოს მომატებასთან დაკავშირებით გაზაფხულზე ბუდეში თანდათანობით უნდა ჩაემატოს ცარიელი ფიჭიანი ჩარჩოები. ადრე გაზაფხულზე დედა ფუტკარი კვერცხებს სდებს უფრო მუქ ჩარჩოში, ვიდრე თეთრ ახალ ჩარჩოში; ვინაიდან მუქი ჩარჩო უფრო მეტ სითბოს ინარჩუნებს, რაც ბარტყის გამოზრდისათვის აუცილებელია.

ძალიან ძველი და შავი ჩარჩოების ბუდეში დატოვება არ არის მიზანშეწონილი. ჩარჩო რომელშიც გამოზრდილია ფუტკრის ოთხი და მეტი თაობა, სითბოს ისე კარგად ვეღარ იცავს. გარდა ამისა ძველი ჩარჩოების უჯრედები დაბატარავებულია შიგ გამოზრდილი ბარტყის მიერ პერიანგის დარჩენის გამო. ამიტომ მეტუთე და მეტი თაობის გამოზრდისას ერთსა და იმავე ჩარჩოში უფრო პატარა ტა-

ნის, ნაკლებად განვითარებული და საერთო ავებულებით სუსტი

ფუტკრები იზრდებიან.

გაზაფხულზე პარმი ტემპერატურის მომატებისას ბუდე უნდობენ მარტინული ფიჭის ჩამატებით აფართოებენ, ღალიანობის დაწყების—თანავე ფუტკრები აქტიურად იწყებენ მუშაობას, ბარტყის გამოზრდას, ახალი ფიჭების აშენებას და ბოლოს თაფლის დიდი რაოდენობით შეგროვებას. ამ დროისათვის კი საჭიროა ბუდის თანდათანობით გაფართოება ხელოვნური ფიჭის ჩამატებით.

ნორმალურ ბუდეში ჩარჩობის განწყობა უნდა იყოს შემდეგნაირად: გვერდებზე ორივე მხარეს თითო ჩარჩო თაფლითა და ჭეოთი, შემდეგ ერთი ჩარჩო ცარიელი—მცირე თაფლიანი, მესამე ჩარჩო შეიძლება იყოს ახალი—ასაშენებელი ფიჭით, მეოთხე და მეხუთე გადაბეჭდილი და გადაუბეჭდავი ბარტყით. მეექვსე—ახალი ხელოვნური ფიჭა, მეშვიდე და მერვე ბარტყიანი და კვერცხიანი ჩარჩოები, მეცხრე—ცარიელ უჯრედებიანი ან ასაშენებელი, მეათე და მეოთხმეტე ბარტყიანი და კვერცხიანი, მეთორმეტე ჩარჩო თაფლით და ჭეოთი.

ახალი ფიჭა უნდა ჩაემატოს 2—3 ჩარჩოს შემდეგ, უმჯობესია 2 ან 3 ჩარჩო გადაბეჭდილი ბარტყით და კვერცხით ერთად იყოს, სოლო შემდეგ ახალი ან აშენებული ცარიელ უჯრედებიანი ფიჭა შეიცეს. ბარტყიანი ან კვერცხიანი ერთი ფიჭის ცალკე დატოვება, მიზანშეწონილი არ არის. შეიძლება „მიძა“ ფუტკრებს გამოჩეთ მათი კვება და ბარტყი დაილუპება. სითბოს რეკიმის დაცვა ცალკე დატოვებულ ფიჭაზე ძნელდება.

ხელოვნური ფიჭა

ხელოვნური ფიჭა უნდა იყოს ნატურალური სანთლისაგან დამზადებული, ღია ყვითელი ფერის, გამჭვირვალე უჯრედების ღიამეტრი უნდა იყოს 5,38—5,42 მილიმეტრი, საშუალო სისქის. ერთი კილოგრამი ზამთარში დამზადებული კარგი ხარისხის ფიჭა იწონის 15—16 ცალს.

ხელოვნური ფიჭა ჩარჩოში უნდა ჩავაკრათ შემდეგნაირად: ჩარჩოს გვერდითა თამასებს უკეთებთ 4—4 თანაბარი ზომის ნასვრეტს თვითეულს, რომელშიც გაჭიმვით ვამაგრებთ სპეციალურ მავთულს. მავთული გიტარის სიმების მსგავს ხმაურს უნდა გამოსცემდეს. ფიჭას ვამაგრებთ ჩარჩოს ზევითა თამასაზე სპეციალური საგორავის საშუალებით, ან შეიძლება ხისგანაც გამოვთალოთ საგორავის მსგავსი ჩხირი. მისი სწრაფი გასმით—მოძრაობით სითბო წარმოიქ-

მნება და ფიჭა ჩარჩოს ზედა ნაწილშე უფრო კარგად დამაგრავდა
ღიჭის მავთულზედაც ვამაგრებთ დეზით და შემდეგ პატარა სახლ-
ლის ნამცეცით სამგან დავამაგრებთ. მავთული ფიჭის ამაგრავდა და მავ-
იცავს ჩამოგლეჭისაგან თაფლის გამოწურვის ან ფუტკრის გადატა-
ნის დროს. ფიჭა ჩარჩოს ცენტრში უნდა ჩაიკრას, რათა ერთნაირი
სიმეტრიით აშენონ ფუტკრებმა ორივე მხარე.

დედა ფუტკარი

დედა ფუტკარი სანაშენოდ ვარგისია სამი წლის ასაკამდე. საფუტ-
კრეში არ უნდა დავტოვოთ 2—3 წელს გადაცილებული დედები. ბე-
ბერი დედა ფუტკარი კვერცხის დებას ამცირებს. იგი უჭრედებში
კვერცხს არათანაბრად სდებს. ზოგ უჭრედში ბევრს სდებს 2—4 და
ასე შემდეგ, ზოგ უჭრედს კი მთლიანად ცარიელს ტოვებს. კვერ-
ცხის დების შემცირება კი ოჯახის დასუსტებას იწვევს.

თუ დედა ფუტკარი დღე-ლამეში სდებს ათას კვერცხს, მაშინ
ფუტკრები ოჯახში საშუალოდ იქნებიან 35—40 ათასი, ე. ი. 3,5—4
კ/გრამი. თუ დედა ფუტკარი 1500 კვერცხს დადებს დღე-ლამეში, მა-
შინ ოჯახში 5—6 კილოგრამი ფუტკარი იქნება, ხოლო 2000 კვერცხის
დადების შემთხვევისას კი ფუტკრის რაოდენობა 7—8 კილოგრამს
შეიძლება. ე. ი. 70—80 ათასი. ასეთი დედიანი ოჯახი ძლიერ ოჯახად
ითვლება.

გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საფუტკრეში
სასურველია გვყავდეს მაღალპროდუქტიული და ახალგაზრდა დე-
დები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ახალი დედა ფუტკარი კვერცხის
დადებიდან მე-17-ე დღეს გამოდის, ხოლო 4—8 დღის შედეგ გასა-
ნაყოფიერებლად მიღრინავს. განაყოფიერების შემდეგ სამი დღე ის-
კვენებს და შემდეგ იწყებს კვერცხის დებას. სულ ახალი დედის მი-
სალებად მის მიერ კვერცხის დადებამდე სპეიროა 23—25 დღე.

დედა ფუტკარი ახალ ან უცხო ოჯახს საღმოს უნდა მივცეთ
სპეციალური სადედე გალიით. გალიის მოვათვესებთ ჩარჩოებს შო-
რის ისე, რომ დედას შეეძლოს თვითონ იკვებოს. ერთი დღელამის
შემდეგ მას გალიიდან გავათავისუფლებთ.

იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ღალიანო-
ბა და დიდი რაოდენობით მივიღოთ თაფლი, ზოგიერთი პრაქტიკოსი
შეფუტკრები მთავარი ღალიანობის დასაწყისში ძლიერ ოჯახებს
არომევენ დედა ფუტკარს და გადაჰყავთ ნუკლეუსებში—ორი კვირით
რათა თავისუფალ უჭრედებში დედამ არ დაღოს კვერცხი და ჩარ-
ჩოები მთლიანად თაფლით შეივსოს. ორი კვირით კვერცხის დების

შეჩერება ოჯახის დასუსტებას არ იწვევს. ყველა ასაკის ფუტკრები
გადადიან ნექტარის შესაგროვებლად.

ზოგიერთ შემთხვევაში ძველი დედის მაგიერ ოჯახს აძლევანი ასეთი
ალგაზრდა გაუნაყოფიერებელ დედის ან მწიფე სადედეს. სპეციალურა
ალი დედა კვერცხის დებას დაიწყებდეს, ცარიელი უჭრედები მთლი-
ანად შევსებული იქნება თაფლით. ამის შემდეგ უკვე შეიძლება თა-
ფლით სავსე ჩარჩოების ამოღება და მის აღგილზე ცარიელ უჭრე-
დებიანი ფიჭების მიცემა.

ეს მეთოდი საგრძნობლად ზრდის თაფლის საერთო და სასაქონ-
ლო გამოსავლიანობას.

დედა ფუტკრის ხელოვნური გამოყვანა

დედა ფუტკრის ხელოვნური გამოყვანა მცირე რაოდენობით
(15—20 ცალი) შეუძლია ყველა მეფუტკრეს, ხოლო დედების მა-
სიური გამოყვანისათვის კი აუცილებელია გვერდეს სპეციალური
ხელსაწყო იარაღები და პატარა ოთახი, სადაც შეიძლება საჭირო
ტემპერატურის დაცვა.

მცირე რაოდენობის დედების გამოსაყვანად უნდა შევარჩიოთ
მაღალპროდუქტოული ძლიერი ოჯახი, რომელსაც აქვს არა ნაკლებ
5—6 გაღაბეჭდილ ბარტყიანი ჩარჩო, ლია ბარტყი და ახლად დადე-
ბული კვერცხი, ასევე ძიძა ფუტკრებიც უნდა ბევრი ჰყავდეს. ასეთ
ოჯახს წავართმევთ დედა ფუტკარს და გაღავიყვანთ სხვა ოჯახში ან
ნუკლეუსში. დარჩენილ კვერცხიდან ჩარჩოს გამთბარი დანით მო-
ვაჭრით ქვევითა ნახევარს ისე, რომ კვერცხი არ დაზიანდეს, შემდეგ
უვეველი სამი უჭრედიდან გავაგანიერებთ ერთ ცენტრალურ უჭ-
რედს ორი გვერდითი უჭრედის ხარჯზე. გვერდით უჭრედებში არსე-
ბულ კვერცხებს ამოვაგდებთ ასანთის ლერით ისე, რომ უჭრედი არ
დაზიანდეს.

ამრიგად სადედების ჩამოსაშენებლად გამზადებულია ჩარჩო,
რომელსაც აძლევენ დაობლებულ ოჯახს.

კვერცხიანი ჩარჩო ყოველთვის ცენტრში უნდა ჩაიდგას, რათა
სითბოს რეაქტი კარგად იქნეს დაცული დედების გამოსაყვანად.

ობლად დარჩენილი ფუტკრები, დედას რომ ვერ იძოვნიან გამ-
ზადებულ ჩარჩოს მთელ ქვედა ნაწილზე—სიგრძეზე ჩამოაშენებენ
სადედებს. თუ უფრო მეტი სადედების ჩამოშენება გვინდა, მა-
შინ ჩარჩოს ზიგზაგისებურად—ტეხილი ხაზით ჩამოჭრიან. იმ შემთხ-
ვევაში თუ ოჯახში დედის წართმევამდე კვერცხები არ არის მაშინ
ოჯახს აძლევენ აშენებულ ცარიელ უჭრედებიან ლია ყავისფერ ფი-
ჭიან ჩარჩოს კვერცხის დასადებად. კვერცხის დადების შემდეგ კი

დედას წაართმევენ და ჩარჩოს გამზადებენ სადედუების ასაშენებლად. ისე, როგორც ზემოთ გვაქვს აღწერილი.

თუ კარგი ღალიანობა არ არის ოჯახს აუცილებლად უნდა მივუჭიროს თაფლისა და ჭიროს ნარევი, კარგი ხარისხის თაფლი ან შაქრის ბადა-გი. სადედების გადაბეჭვდიდან ხუთი დღის შემდეგ ე. ი. დედის გამოსვლიდან სამი დღით ადრე, სადედებს ფრთხილად მოვჭიროთ და გადაგვაქვს მისუთის განკუთვნილ ოჯახში ან ნუელეუსებში, სა-დაც უნდა მოხდეს დედის განაყოფიერება. განაყოფიერების შემ-დეგ დედის გამოყენება შეიძლება დანიშნულებისამებრ.

განაყოფიერებული დედა გამოიყენება ბებერი და მცირე პრო-დუქტიული დედების შესაცვლელად, ახალი ოჯახების შესაქმნელად. გარდა ამისა საჭიროა საფუტკრეში გვყავდეს მარავი დედები მომა-ვალი მუშაობისათვის.

დედა ფუტკარი სკიდან გამოფრინდება მისი გამოჩეკიდან 3—4 დღის შემდეგ. იგი სკის ახლოს ფრენს და აკეთებს მისი ოჯახის მდე-ბარეობის ორიენტირებას. გასანაყოფიერებლად კი ოთხილან მე-თერთმეტე დღემდე შეიძლება გამოფრინდეს. დედა ფუტკარის განა-ყოფიერება ხდება ჰარეში, საფუტკრიდან 8—10 კილომეტრის მო-შორებით. სკიდან დედის გამოსვლისთანავე საფუტკრეში არსებული მამალი ფუტკრები რომლებიც ყირაულობენ დედის გამოფრენას, გამოფრენისთანავე დაედევნებიან მას გასანაყოფიერებლად.

როგორც ვიცით დედა ფუტკარი ყველაზე უფრო გულუხვად იკ-ვებება, ამიტომ იგი ყველა ფუტკარზე უფრო ღონიერია. იგი გასა-ნაყოფიერებლად ფრენს შორ მანძილზე. მამალი ფუტკრები, რომ-ლებიც უფრო სუსტი არიან გზაში იღლებიან და იხოცებიან ან უკან ბრუნდებიან.

დედის განაყოფიერება ხდება იმ მამალ ფუტკრებთან, რომლებიც დიდ მანძილზე შეძლებენ ფრენას ე. ი. ისინი ყველაზე უფრო ჯანმრთელნი, ამტენი და სანაშენოდ ვარგისი არიან. ექ ინსტიქ-ტიურად ხდება ბუნებრივი შერჩევა და გადარჩევა საუკეთესო ეგ-ზემპლიარებისა მომავალი უკეთესი თაობის მისაღებად.

ცნობილია, რომ დედა ფუტკრის განაყოფიერება რამდენიმე მა-მალი ფუტკრისაგან ხდება. მამლები განაყოფიერების შემდეგ იხო-ცებიან, რაც ართულებს საჭიშე მუშაობას საფუტკრეში.

პრუ დედა ფუტკარი

როგორც ზემოთ აღნიშნეთ მუშა ფუტკარი მდედრობითი სქე-სისაა, მაგრამ მას საკვერცხეები ნაკლებად აქვს განვითარებული,



ჩის გამოც განაყოფიერებული კვერცხმდებლობის უნარს შემუშავებულია.

თუ ოჯახი დიდი ხნითაა დაობლებული, ასეთ ოჯახში ხშირად ცრუ დედები წარმოშობიან. ცრუ დედა იგივე მუშა ფუტკარია, რომელიც აღარ მუშაობს, კარგად იკვებება და იწყებს კვერცხის დებას. ცრუ დედის მიერ დადებული კვერცხები გაუნაყოფიერებელია (განაყოფიერება ხდება მხოლოდ დედა ფუტკრისა) გაუნაყოფიერებელ კვერცხიდან კი მხოლოდ მამლები იჩეკებიან. ამ შემთხვევაში მუშა ფუტკრების რაოდენობა თანდათან მცირდება და ოჯახი სბოლოოდ მთლიანად იღუპება.

ცრუ დედას გარეგნულად ვერაფრით ვარ გაარჩევთ მუშა ფუტკრისგან. მისი არსებობა შეგვიძლია გავიგოთ კვერცხის დადებით.

ცრუ დედა კვერცხს უჭრედებში სდებს არათანმიმდევრულად. ზოგ უჭრედში ბევრს სდებს 5—10 და ა. შ. ზოგში კი სულ არ ჩადებს. გარდა ამისა ცრუ დედის მიერ დადებული კვერცხიდან მხოლოდ მამალი ფუტკრები გამოდიან და ოჯახში მუშა ფუტკრის ბარტყი არ არის.

აუცილებელია მიღებული იქნას სასწრაფო ზომები ცრუ დედიანი ოჯახის გამოსასწორებლად. ამისათვის კი საჭიროა ოჯახს მივცეთ ფიჭები ყველა ასაკის ბარტყით და კვერცხით.

ოჯახი გამოსასწორდება და დაიწყებს სადედების აშენებას იმ შემთხვევაში, თუ ცრუ დედა ახალი წარმოშობილია, მაგრამ თუ ოჯახში დიდი ხანია არსებობს ცრუ დედა, მაშინ იგი მთლიანად აფუჭებს სადედებს, ფუტკრებსაც არ აძლევს საშუალებას სადედების აშენებისა, იგი ამ სადედებში თვისი მეტოქეს ხედავს. ამის შემდეგ კი აუცილებელია ვიპოვოთ თვით ცრუ დედები და დავხოცოთ, მაგრამ მათ ვერაფრით ვერ განვასხვავებთ მუშა ფუტკრისაგან, ამისათვის საჭიროა ვიმოქმედოთ შემდეგნაირად: სკიდან უნდა ამოვილოთ ყველა ჩარჩოები ფუტკრებიანად და 50 მეტრის მოშორებით ქალალზე დავბერტყოთ. სკის კედლებზე დარჩენილი ფუტკრებიც ქალალზე უნდა დავყაროთ.

ფუტკრები სწრაფად აფრინდებიან მაღლა და შევლენ თვისი სკაში. ცრუ დედები კი სწრაფად ვერ აფრინდებიან, ვინაიდან ისინი კარგი კვებისაგან დამძიმებული არიან და რჩებიან მიწაზე მუშა ფუტკრებთან შედარებით უფრო დიდ ხანს.

მიწაზე დარჩენილი ფუტკრების მცირე ჭვეულში აუცილებელად იქნებიან ცრუ დედები. დარჩენილი მცირე ჭვეულ მორიგეობით ქალალზე აუცილებელია უნდა დავუკაროთ.





დავხოცოთ. ოჯახს მივცემთ გადაბეჭდილ ბარტყიან და კვერული მარტონი ჩარჩოებს. ორი სამი დღის შემდეგ ფუტკრები ჩამოაშენებენ სადედეებს და გამოიყანენ ახალ დედას, რის შემდეგაც ოჯახში დაიწყება ნორმალური მუშაობა. მაგრამ თუ ოჯახი მაინც არ გამოსწორდა მაშინ იგი მთლიანად უნდა დავშალოთ. თითო-თითო ჩარჩოს გადავიტანთ სხვა ოჯახებში. ერთი კვირის შემდეგ მათგანვე შევაღვენო ახლ ოჯახს—ნაკრებ ნაყარს.

ფუტკრის შენახვა მრავალკორპუსიან სკებზი

ძლიერი ოჯახების განვითარებისათვის გ. ფ. ტარანოვის მონაცემებით 12 ჩარჩოიანი სკა საქმარისი არ არის. კარგი დედა ძლიერ ოჯახში კვერცხებს სდებს 15—16 ჩარჩოში. ქედან გამომდინარე 12 ჩარჩოიან სკაში დედა ფუტკრის კვერცხმდებლობა შემცირებულია, ამასთან დაკავშირებით კი ბარტყის გამოზრდაც მცირდება, ეს კი იწვევს ფუტკრების უსაქმურობას და მისწრაფებას ნაყრიანობისაკენ.

სუკეთესო შედეგს იძლევა ძლიერი ოჯახების შენახვა 2 და მრავალ კორპუსიან სკებში, სადაც საქმაო ადგილია ბარტყის გამოსაზრდელად და თაფლის შესაგროვებლადაც. მრავალკორპუსიან სკებში ფუტკრის შენახვისას საფუტკრეში იზრდება პროდუქტიულობა 35—40 პროცენტით.

მეორე კორპუსი გაზაფხულიდანვე გამოიყენება ბარტყის გამოსაზრდელად, ახალი ფიქების ასაშენებლად ე. ი. სანთლის გამოსაყოფად, ნაყრიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად და ბოლოს თაფლის დიდი რაოდენობით შესაგროვებლად.

მოწინავე მეფეუტკრეთა გამოცდილებიდან ჩანს, რომ ფუტკრის ოჯახთა გაძლიერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გარდა ძირითადი მაღალპროდუქტიული დედისა — დამხმარე დედა ფუტკრის არსებობას ერთ ოჯახში. ეს განსაკუთრებით გამოიყენება ორ და მრავალკორპუსიან სკებში.

ძლიერი ოჯახის პირველი კორპუსილან. რომელსაც აქვს აშენებული სადედეები ზედა კორპუსში გადავვაჭვს სადედეებიანი ჩარჩო, ამავე დროს 3—4 ჩარჩო გადაბეჭდილი ბარტყით, ორი ჩარჩო ჭიროთი და თაფლით. ზედა კორპუსს ვაძლევთ ხელოვნურ ფიქასაც. ზედა და ქვედა კორპუსები გაყოფილია განიმანის ბალეთი, რითაც მუშა ფუტკრები თავისუფლად გადადიან ორივე კორპუსში, ხოლო დედებს გადასვლა არ შეუძლიათ. ზედა კორპუსს უკეთდება ცალკე საფრენი, ახლად გამოსული დედა ფუტკრის გასანაყოფიერებლად.



განაყოფიერების შემდეგ დედა იწყებს კვერცხის დებას ზედა კოტრანცხა
პუსში, ხოლო ძველი დედა კი ქვედა კორპუსში განაგრძობს მტკრ-
ობას.

ორივე დედა ფუტკრის მუშაობის შედეგად ოჯახი უფრო ძლიერ-
დება. ისინი იძლევიან ორჯერ მეტ ახალგაზრდა ფუტკრებს, ვიდრე
ის ოჯახები, რომლებშიც ერთი დედა მუშაობს, ასეთი ოჯახი ყველა-
ზე უკეთესად იყენებს მთავარ ღალიანობას და საგრძნობლად მეტ
თაფლსაც აგროვებს. ღამხმარე დედის გამოყვანა მიზანშეწონილია
მთავარი ღალიანობის დაწყებამდე ორი თვით ადრე.

მთავარი ღალიანობის პერიოდში ძველ დედა ფუტკარს მოაცი-
ლებენ და რჩება ახალი დედა ფუტკარი, რომლითაც ოჯახი გაიზამ-
ორებს.

ქურდობა ფუტკრებს შორის და მასთან ბრძოლა

ქურდობა ფუტკრებს შორის ერთ-ერთი საშიში მოვლენაა,
რომლითაც ზოგჯერ საფუტკრები მთლიანად ნადგურდება.

ყველა შეფუტკრებმ კარგად უნდა იცოდეს ქურდობის წარმო-
შობის მიზეზები და ბრძოლის ღონისძიებანი, რათა თავიდან ავი-
ცილოთ ქურდობით გამოწვეული არასასურველი შედეგები.

ქურდობა ფუტკრებს შორის წარმოშობა იმ პერიოდში, რო-
დესაც ღალიანობა არ არის. ხშირად ამის ძირითადი მიზეზია მე-
ფუტკრის დაუდევრობა და უცოდინარობა ღუტკრის ავიბის
ღრის დალგრილი თაფლის ან შაქრის ბადაგის წვეთები, ოჯახის
გასინჯვისას ფიჭისა და სანთლის ნამცეცების დაყრა მიწაზე, სკის
დიდი ხნით ახდა, გასინჯვა უღალიანობის პერიოდში და სხვა იწ-
ვეს ქურდობას.

გარდა ამისა ქურდობის გამომწვევ მიზეზად ითვლება სუსტი
და უდედო ოჯახების არსებობა საფუტკრეში.

ქურდი ფუტკარი სკაში შესვლას ცდილობს საფრენის გარეშე—
ხვრელებიდნ, სკის სახურავიდან, ძირიდან და გვერდებიდან. აშ-
კარად შესამჩნევია ფუტკრებს შორის ჩხუბი, ჭიდილი. საფრენთან
ყრია მკვდარი ფუტკრები. ამ პერიოდში ფუტკრები ძალიან გალი-
ზიანებულები არიან.

იმ შემთხვევაში თუ ქურდი ფუტკრების რაოდენობა აღემატე-
ბა დამცველთა რაოდენობას, მაშინ ისინი უკვე საფრენიდან შე-
დიან, იმორჩილებენ უცხო ოჯახს და იქიდან მიაქვთ თაფლი თავის
სკაში.

ქურდი ფუტკრები ცდილობენ პირველ რიგში მოკლან დედა,



რის შემდეგაც ოჯახის წინააღმდევობა დაძლეულია. გაქურდული არა არა მარტინის ფუტკრები კი ითანტებიან სხვადასხვა სკებში. ხურდების ისინი ქურდებს ეხმარებიან, მათ უერთდებიან და თავისი ოჯახიდან მიაქვთ თავლი ქურდი ფუტკრების ოჯახში.

თუ დროულად არ იქნა მიღებული ზომები, ქურდობა ხშირად მთელ საფუტკრეს მოედება ხოლმე და ოჯახების დიდი რაოდენობა ნადგურდება. ასეც ხდება, რომ ერთი საფუტკრის ფუტკრები თავს ესხმიან მეორე საფუტკრეს და ძარცვავენ მათ.

გაქურდვა პირველ რიგში ხდება სუსტი და განსაკუთრებით კი უდედო ოჯახებისა. დასაწყისში ერთ ოჯახს ესხმიან თავს რჩინაში არა არა ესხმიან ფუტკრები; მერე კი მასიურ ხსიათს ღებულობს.

იმ სკას რომელსაც თავს ესხმიან ქურდები დასაწყისშივე უნდა მოვასხათ ნავთი ირგვლივ, სკას კედლებზე, სახურავზე და საფრენთან ისე, რომ ფუტკრები ნავთით არ დავხოცოთ. ქურდი ფუტკრები ნავთის სუნის გამო სკაში ვეღარ შედიან. თავისი ფუტკრები კი პირდაპირ საფრენთან დაფრინდებიან და სკაში შედიან.

ნავთი უნდა მოვასხათ რამოდენიმეჭერ განმეორებით; ვინაიდან იგი ჩქარა შერება და ამასთან სუნიც გაქრება. ნავთის დასხმა დროებით აჩერებს ქურდობას და ხშირად ფუტკარი ამით შვიდდება. ზოგჯერ ქურდ ფუტკრებს, რომლებიც სკას ირგვლივ ჰაერში ფრენენ მიასხვენ ხოლმე წყალს წვიმის მსგავსად, რეზინის მილით ან ცოცხით.

თუ ქურდობა არ შეჩერდება მაშინ სუსტ არა ებებს, რომელთა გაქურდვაც ხდება შეიტანენ ხოლმე სარდაფში 2—3 დღით. მის ადგილზე დაგამენ ცარიელ სკას, რომელშიც დებენ ნავთიან ჩვარს. მეზობელ სკებსაც საფრენს. შეუმცირებენ. ორ-სამ დღეში ქურდი ფუტკრები მშვიდდებიან და სკას ისევ თავის ადგილზე გამოიტანენ.

გაძლიერებული ქურდობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ უამინდობის გამო (სიცივე, წვიმები) ფუტკრის გარეთ გამოსვლა არ შეიძლება რამდენიმე დღეს.

ღალიანობის გაჩენისთანავე ფუტკარი გადის ნექტრის შესაგროვებლად და ქურდობა ისპობა. ეს ყველაზე კარგი საშუალებაა ქურდობის საწინააღმდეგოდ. მაგრამ თუ არც ღალიანობაა და არც ცუდი ამინდები, მაშინ მეფუტკრემ წინასწარ უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საფუტკრეში არ უნდა ვიყოლიოთ სუსტი და უდედო ოჯახები. თუ სუსტი და უდედო ოჯახები ვერ გამოვასწორეთ, მაშინ ამ



ოჯახებს ბუდე უნდა შეუმციროთ ისე, რომ ფუტკარი ყველა ჩავტორის
ჩის ფარავდეს. საფრენი უნდა შევამციროთ 1 სმ-მდე.

2. უღალიანობის პერიოდში საჭიროა ყველა ოჯახებს საფრენი
შეუმცირდეთ. თუ სკას ხვრელები აქვს, იგი უნდა ამოილესოს.

3. დაუშვებელია ფუტკრის ოჯახთა ხშირი და ხანგრძლივი
გასინჯვა. გასინჯვა უნდა ხდებოდეს საღამისი, როცა ფუტკრის
ფრენა მთავრდება. დღისით კი გასინჯვა შეიძლება მხოლოდ სპე-
ციალურ თახში.

4. ფუტკრის კვების დროს არ უნდა დავღვაროთ თაფლის ან
შაქრის ბადაგის წვეთები. ჩარჩოების გადატანა უნდა ხდებოდეს
სპეციალური გადასატანი ყუთით. თაფლის ან ბადაგის წვეთე-
ბის დაცვის ადგილს საჭიროა დავვაროთ მიწა ან მოვწმინდოთ
ნავთიანი ჩვრით.

5. მარავი თაფლი, ფრები და სანთელი შენახული უნდა იყოს
დაკეტილ ადგილას, საიდანაც სუნი ვერ გამოვა.

თუ მასიურ თავდასხმას აქვს ადგილი რაც ლალიანობის უცებ
შეწყვეტის შემთხვევაში ხდება—მაშინ საჭიროა მიღებული იქნას
ზომები შემდეგნაირად:

1. საღამოს საფუტკრე მთლიანად გადატანილი უნდა იქნეს იმ
ადგილას, სადაც ლალიანობა არის თუნდაც მცირე რაოდენობით.
(საერთოდ ფუტკრის გადატანა უნდა მოხდეს ძველი ადგილიდან
არანაკლები 3 კმ-ის დაშორებით).

2. თუ საფუტკრის გადატანა არ ხერხდება, მაშინ უნდა ჩავკე-
ტოთ ყველა სკის საფრენები. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრ-
ჩეს ფუტკრის მომარაგება წყლითა და საკვებით. თუ ცხელა ვენ-
ტილაციაც აუცილებელია, რათა ფუტკარი არ დაიხუთოს. ღამე
საფრენები უნდა გავაღოთ და დილით აღრე ისევ ჩავკეტოთ;

ასე უნდა გაგრძელდეს არმოდენიმე დღე, სანამ მდგომარეობა
არ გამოსწორდება. მაგრამ თუ ძალიან ცხელა ფუტკრის ჩავკეტვა
არ შეიძლება—დაიხუთება. ამ შემთხვევაში კი მათი სარდაფში
ჩატანაა საჭირო.

ფუტკრის ახალი ოჯახების მიღების მეთოდები

ფუტკრის ახალი ოჯახების მიღების რამოდენიმე მეთოდი არ-
სებობს:

1. ბუნებრივი გამრავლება.— ბუნებრივი ნაყრის მიღება;
 2. ხელოვნური გამრავლება.
- ხელოვნური გამრავლება შეიძლება სხვადასხვა მეთოდებით, მათ
შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:
- ა) ნაყრები ნაყარის შედგენა;
 - ბ) ინდივიდუალური ნაყარის შედგენა;
 - გ) ოჯახის გაყოფა შუაზე;
 - დ) „მიფრენის“ წესი;
 - ე) მიფრენა დედაზე;
 - ვ) ოჯახის გაყოფა მოლალე ფუტკრების ნახევრით;
 - ზ) სწრაფი გამრავლების წესი სანაყრე სადედების გამოყე-
ნებით;
 - თ) ნუკლეუსების შედგენა სანაყრედ მომზადებული ოჯახებიდან-
ვავარჩიოთ ეს მეთოდები ცალ-ცალკე.

ბუნებრივი გამრავლება

ფუტკრის ოჯახების ბუნებრივი გამრავლება მიმდინარეობს ბუ-
ნებრივი ნაყარის მიღებით. ნაყარი საფუტკრესთან ახლოს ხეზე დაეხ-
ვევა გუნდურად, რომელიც უნდა ჩავყაროთ სპეციალურად დამზა-
დებულ ხის სანაყრეში. ქედან მას გადაიტანენ ახალ სკაში. რომ-
ელშიც წინასწარ ჩადგმულია 2—3 ჩარჩო ბარტყიანი, ერთი ჩარჩო
თაფლოთა და ჭეოთი. დანარჩენი ჩარჩოები კი იქნება ხელოვნური
ფიჭით. ან ჩაუდგამენ ჩარჩოებს მხოლოდ ხელოვნური ფიჭით. ნა-
კრი ყოველთვის უფრო მეტი ხალისით აშენებს ფიჭას, ზრდის
ბარტს და ენერგიულად აგროვებს თაფლს.

ბუნებრივ ნაყრიანობას აქვს მთელი რიგი უარყოფითი შარეები-
ამ დროს ფუტკრები მთელი ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებიან.



ალგზნებულ მდგომარეობაში და არ მუშაობენ. ამით კი ოჯახს შეუძლია მაოდ ბევრი ფუტკარიც და თაფლიც ყვლდება.

ბუნებრივი ნაყრიანობა ზოგიერთ წელიწადს მრავალია, ზოგჯერ—კი სუსტად იჩენს თავს, რაც საფუტკრის გეგმურ განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს.

ხელოვნური ნაყრის—მიღებისას კი ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს საფუტკრის გეგმური დავალების მიხედვით, რომლის გაყეთება მეფუტკრეს შეუძლია. ხელოვნური ნაყრის მიღებისას ფუტკრის ოჯახების ზრდა ხდება მათი ყოველგვარი გაღიზიანებისა და აღგზნების გარეშე, რაც ხელს უწყობს ღალიანობის უკეთ გამოყენებას.

საფუტკრეში საჯიშე მუშაობის ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ნაყრების მიღებასა და დედის გამოყვანას. აქ შეიძლება შერჩევისა და გადარჩევის საშუალებით მაღალპროდუქტიული დედებისაგან მიღებული იქნას შთამომავლობა. ეს კი წინაპირობაა ძლიერი ოჯახის შექმნისა საფუტკრეში.

ნაკრები ნაყარის შედგენა


ნაკრები ნაყარის შედგენა შეიძლება 2—3 საშუალო სიძლიერის ოჯახებიდან. თვითეული ოჯახიდან ამოვილებთ ორ-ორ ჩარტოს ბარტყიანს. მათ შორის უნდა იყოს გადაუბეჭდავი და გადაბეჭდილიბარტყიანი ჩარჩოები. ერთი სკიდან ამოვილებთ ერთ ჩარჩოს კარგი ხარისხის თაფლით, მეორე სკიდან—ჩარჩოს ჰერთი, მესამედანაც თაფლიან ჩარჩოს. ყველა ჩარჩოები გადაგვაქვს ახალ სკაში ზედ მსხდომი ფუტკრებიანად.

რამდენიმე ოჯახიდან ამგვარად შეკრებილი ფუტკრები მშვიდად ეთვისებიან ერთმანეთს. თუ ნუკლეუსებში არა გვყავს მარაგი დედა, და ვერ ვაძლევთ, მაშინ ეს ახალი ოჯახის ფუტკრები თვითონ ააშენებენ სადედებს და გამოიყენენ ახალ დედას. ასეთი ოჯახი ენერგიულად აშენებს ხელოვნურ ფიჭას და ღალიანობასაც კარგად იყენებს.

ინდივიდუალური ნაყარის შედგენა

ერთი ძლიერი ოჯახიდან, რომელშიც ფუტკრები 12 ჩარჩოს ფარვენ, ხოლო ბარტყი 9 ჩარჩოზეა—ვიღებთ სამ ჩარჩოს გადაბეჭდილ ბატყიანს ზედ მსხდომი ფუტკრებით, ერთ ჩარჩოს გადაუბეჭ-



დავი ბარტყით და ახლად დადებული კვერცხით, ორ ჩარჩოს  ლითა და ჭეოთი. კვერცხიანი ჩარჩო ცენტრში უნდა მოვათქმის მუხლისათვის და გეორგი არ გაცივდეს. თაფლიანი და ჭეონი კი ნაპირებზე. სალამოს ახალ ოჯახს უნდა მივცეთ დედა. თუ მარაგი დედა ფუტკარი არა გვყავს, მაშინ 2—3 დღის შემდეგ კვერცხებიან ჩარჩოში ფუტკრები აშენებენ სადედებს და გამოიყვანენ დედას.

დედის განაყოფიერების შემდეგ ოჯახში დაიწყება სრულიად ნორმალური მუშაობა. ამის შემდეგ უნდა ჩაემატოს ხელოვნური ფიჭები, რომლებსაც ენერგიულად ააშენებენ. ასეთი ოჯახი აქტიურია და კარგად იყენებს ღალიანობას.

ასე მიღება ერთი ოჯახიდან ორი სრულფასოვანი ოჯახი.

„მიურენის“ წესი

დილით ერთ-ერთ ძლიერ ოჯახს, რომლისაგანაც გვინდა მივიღოთ ხელოვნური ნაყარი გადავდგამთ გვერდზე, ხოლო მის ადგილზე დავდგამთ ახალ სკას, რომელშიაც არის ჩაწყობილი ხელოვნური ფიჭები. ძველი სკიდან ახალში ფუტკრებიანად გადაგვაქვს ის ჩარჩო, რომელზედაც ზის დედა. საფრენი ახალ დადგმულ სკას უნდა ჰქონდეს ძველი სკის საფრენის სიმაღლეზე. დღისით ღალის მომტანი ფუტკარი შედის თავის ადგილზე, სადაც დახვდებათ ახალი ფიჭები და თავისივე დედა ფუტკარი. ისინი განაგრძობენ მუშაობას, ხელოვნური ფიჭების აშენებას, ბარტყის გამოზრდას და ნექტარის შეგროვებას.

ძველ ოჯახს ჩეგბა გადაბეჭდილი და გადაუბეჭდავ ბარტყიანი ფიჭები ზედ მჯომი „ძიძა“ ფუტკრებით. მას უნდა მივცეთ ნუკლეუსებიდან დედა ან მწიფე სადედები. თუ საფუტკრეში არ გვყავს მარაგი დედა და არც მწიფე სადედეს მიცემა შეგვიძლია მაშინ 3—4 დღის შემდეგ ვნახავთ, რომ ფუტკრები კვერცხიან უჯრედებს გააგანიცრებენ და ზედ სადედებს აშენებენ. უმჯობესი იქნება, თუ ორივე ოჯახს გავაძლიერებთ გადაბეჭდილ ბარტყიანი ჩარჩოებით და პერიოდულად ჩაუმატებთ ხელოვნურ ფიჭესაც.

ერთი ორი კვირის შემდეგ ეს ორივე ოჯახი საკმაოდ ძლიერი იქნება. ამრიგად მიღიღეთ ერთი ოჯახიდან ორი სრულფასოვანი ბიოლოგიური ოჯახი, რომლებიც კარგად გამოიყენებენ ღალიანობას. ასეთი მეთოდით ნაყრის მიღება უნდა ჩატარდეს ფიჭების მშენებლობის პერიოდში.



ძლიერი ოჯახიდან ვიღებთ ყველა ჩარჩოებს გარდა ორისა და დაგავაქვს ახალ სკაში ზედ მსხლომი ფუტკრებიანად. ძეველ სკაში დავტოვებთ დედა ფარგარს და ორ ჩარჩოს გადაბეჭდილი ბარტყით რომელშედაც არის მცირე რაოდენობის ახალგაზრდა ფუტკრები, რომელსაც შევავსებთ მცირე თაფლიანი და ხელოვნური ფიჭებით. ახალ ოჯახს ვაძლევთ სადედებს ან გაუნაყოფიერებელ დედას.

ძეველ სკას, რომელშიაც იმყოფება დედა ფუტკარი გადადგამენ მარჯვნივ თავისი აღგილიდან 0,5 მეტრის დაშორებით, ხოლო ახალ სკას 1—1,5 მეტრის დაშორებით. მფრინავი მოღალე ფუტკრები შევლენ როგორც ძეველ, ისე ახალ სკაში. უნდა დავაკვირდეთ და რომელ სკაშიც ნაჯლები რაოდენობით შევა მოღალე ფუტკარი იმ სკას უფრო ახლოს მივაცურებთ ძეველი სკის აღგილისაკენ იმ ანგარიშით, რომ ფუტკრები თანაბრად განაწილდნენ ორივე სკაში.

ახალ ოჯახს დედის განაყოფიერების შემდეგ უნდა ჩაემატოს ძლიერი ოჯახიდან, გადაბეჭდილ ბარტყიანი ჩარჩოები.

ორივე ოჯახში იქნება ფუტკრები ყველა ასაკისა და არავითარი ხელის შემშლელი პირობები არ იქნება მათი ნორმალური მუშაობისათვის.

ამრიგად მივიღეთ ორი სრულფასოვანი ოჯახი, რომლებიც კარგად გამოიყენებენ ღალიანობას.

ნუკლეუსების შედგენა სანაყრედ მომზადებული ოჯახებიდან

ეს მეთოდი გამომდინარეობს ბუნებრივი ნაყრის მიღებიდან. იმ შემთხვევაში თუ საფუტკრეში გამოვა ბუნებრივი ნაყარი მას მოვხსნით ხილან ჩვეულებრივი წესით. დავტოვებთ გრილ აღგილს ცოტა ხნით — საღამოდე. იმ ოჯახიდან, რომლისაგანაც გამოვიდა ნაყარი ვაფორმებთ ორ ნუკლეუსს იმავე სკაში შემდეგნაირად: ძირითად ოჯახს დავტოვებთ ცენტრში. სკას ორივე გვერდიდან გავუკეთებთ დამატებით საფრენებს. თვითეულ სანუკლეუსო განყოფილებაში გადავვაქვს ორ-ორი ჩარჩო გადაბეჭდილი და გადაუბეჭდავი ბარტყით ზედ მჯდომი ფუტკრებიანად. გარდა ამისა ნუკლეუსებს ვაძლევთ თითო ჩარჩოს თაფლითა და ჭეოთი.

ნუკლეუსის ერთ-ერთ განყოფილებას ვაძლევთ სადედებს მაღალპროდუქტიული ოჯახიდან. ძირითადი ოჯახი და ნუკლეუსები დიაფრაგმით არის გადაყოფილი.

საღამოს ნაყარს ჩავყრით ნახევარს ძირითად დედიან ოჯახში /
უკანვე დავაბრუნებთ, ხოლო ნახევარს გავინაწილებთ ახლად გაე-/
რებულ ნუკლეუსებში. გამოსულ ნაყარში მყოფ დედას შემდეგი
უდედო ნუკლეუსს. ამრიგად ნაყარის მომცემი ოჯახიდან შედგენილი
იქნება 1 ოჯახი ძირითადი თაფლის მომცემი მოღალე ფუტკრებით
და 2 ნუკლეუსი, რომლებიც დედის განაყოფიერების შემდეგ აღიღ-
გენენ ნორმალურ ცხოვრებას.

ძირითად ოჯახში დარჩება ბარტყის ნაწილი, დიდი რაოდენობით
მოღალე—მუშა ფუტკრები და ახალგაზრდა ფუტკრები. ნუკლეუსებ-
ში კი დარჩება სხვადასხვა ასაკის ბატყიცა და ფუტკრებიც, რომ-
ელსაც პერიოდულად გავაძლიერებთ გაღაბეჭდილ ბარტყიანი
ჩარჩოების ჩამატებით.

ამრიგად ერთი ოჯახიდან მიღებული იქნა სამი სრულფასოვანი
ოჯახი.

ფუტკრის ოჯახთა სწრაფი გამრავლების წესი სანაყრე სადედებების გამოყენებით

საფუტკრეში გაზაფხულზე ყველა ოჯახებს გაყოფენ ორ ჯგუ-
ფად. პირველი ჯგუფი გამრავლებისათვის, მეორე ჯგუფი გამოი-
ჟენება პირველი ჯგუფის გასაძლიერებლად. თვითეულ გასაყოფ
ოჯახს გაზაფხულიდანვე მიუჩენენ გაძლიერებისათვის ორ სათადარი-
გო ოჯახს. ყველა ოჯახებს უქმნიან კარგ პირობებს გამრავლებისა
და ბარტყის გამოზრდისათვის. ზამთრის საობუნებელ ბალიშებს
და ორვებენ შიგვე. ბუდეს შეამცირებენ ზედმეტი ცარიელი ჩარჩოე-
ბის ამოღებით. ყველა ოჯახი გაზაფხულიდანვე უზრუნველყოფილი
უნდა იყოს კარგი ხარისხის საკვებით არა ნაკლები 6—8 კ. გრამი.

როდესაც მეორე ჯგუფის ფუტკრები გამრავლდებიან ისე, რომ
დაფარავენ 10 ჩარჩოს, ხოლო ბარტყი იქნება 6—7 ჩარჩო, მაშინ
მათგან ამოიღებენ ორ ჩარჩოს ბარტყიანს, ზედ მსხდომ ფუტკრებს
ჩარჩოს დაქნევით ჩაყრიან უკანვე და გაღაიტანენ მასზე მიმაგრებულ
გასაძლიერებელ პირველი ჯგუფის ოჯახში.

იმ შემთხვევაში თუ ჩარჩოები სხვა ოჯახში გადაგვაქვს ზედ
მსხდომი ფუტკრებიანად ასეთი ჩარჩოები პირველად ნუდა დაიდგას
ნაპირზე, რათა უცხო ოჯახის ფუტკრებმა ერთმანეთი არ დახოცონ,
ჩარჩოების გადატანის დროს საბოლებელი არ უნდა ვიხმაროთ. ბო-

ლი აღიზიანებს ფუტკრებს და შეიძლება ახლად შეერთებულ ჩარჩოებზე მსხდომ ფუტკრებმა ერთმანეთი დახოცონ.

საქართველო

ერთი კვირის შემდეგ პირველი ჯგუფის ოჯახები იმდენად გამარტივდა ლიერებული იქნება, რომ მისი შუაზე გაყოფა შეიძლება. პირველი ჯგუფის ოჯახებში გვექნება 12 ჩარჩო ფუტკარი და 9—10 ჩარჩო ბარტყა თვითეულში. ახალ სკაში გადავიტანთ გადაბეჭდილ ბარტყიან 4 ჩარჩოს იმ ანგარიშით, რომ ჩარჩოზე იყოს ახლად დადებული კვერცხიც, ორ ჩარჩოს თაფლითა და ჭეოთი. ჩარჩოები უნდა გადავიტანოთ ზედ მსხდომი ფუტკრებიანად. ე. ი. პირველი ჯგუფის ოჯახები თითოეული გავყავით შუაზე. უდედო ახალი ოჯახები ჩამოაშენებენ სადედებს და დედებს გამოიყვანენ.

მეორე ჯგუფის გამაძლიერებელი ოჯახის ფუტკრები სწრაფად აღიდგენენ ძალას, ვინაიდან მასში ბევრია მოზრდილი მოღალე ფუტკარიც და ახალგაზრდა „ძიძა“ ფუტკრებიც, რაც ხელს უწყობს სანაყრე სადედების აშენებას. როდესაც სადედები მომწიფდება ყოველ სათადარივო თითო ოჯახიდან შეიძლება გაფორმებული იქნას თითო ახალი ოჯახი, რომელსაც ერთი კვირის შემდეგ ძლიერი ოჯახებიდან ჩაუმატებთ გადაბეჭდილ ბარტყიან ჩარჩოს ზედ მსხდომი ფუტკრებიანად და ერთ-ორ ჩარჩოს თაფლითა და ჭეოთი.

დედა განაყოფიერების შედეგ დაიწყებს კვერცხის დებას და მიიღება სრულფასიანი ოჯახი.

ამ მეთოდით ფუტკრების გამრავლება ხელს არ შეუშლის ლალიანობის მაქსიმალურად გამოყენებას. პირიქით ფუტკრები უფრო ხალისიანად და ახალი ენერგიით იწყებენ მუშაობას. ასეთი წესით საფუტკრეში შეიძლება ოჯახები ერთიორად გამრავლდეს.

ფუტკრის დაზამთრება

ფუტკრის დაზამთრებისათვის მზადება უნდა დავიწყოთ ჭერ კიდევ მთავარი ლალიანობის დროს. ამ დროიდან საჭიროა გამოყვანილი იქნეს ახალგაზრდა დედები ძველი დედების შესაცვლელად. შემოდგომიდან კი გამოყვანილი უნდა იქნეს ახალგაზრდა მუშა ფუტკარი ბევრი ჰყავს, უფრო კარგად გამოიზამთრებს და ნაკლებ საკვებსაც ხარგავს, ვიდრე ის ოჯახი, რომელსაც ზაფხულში გამოყვანილი ფუტკრები ჰყავს.

მეფუტკრეობის კვლევითი ინსტიტუტის მონაცემებით ფუტკარის რის ოჯახი წონით 1,8 კ/გრამიანი, ზამთარში ყოველ 1 კ/გრამის ფუტკარზე ხარჯავს 5,5 კგ საკვებს, ხოლო 2,5 კ/გრამიანი ასევე მომარცვას 4,91 კ/გრამს.

ფუტკარი აუცილებლად უნდა დავაზამთროთ კარგი ხარისხის თაფლითა და ჭეოთი. თუ ოჯახს დავაზამთრებოთ „მანანას“ თაფლით, ან ისეთი თაფლით, რომელიც კრისტალდება (მზეს სუმზირას თაფლი ადვილად კრისტალდება) ასეთი ოჯახი ცუდად გამოიზამთრებს ან მთლიანად დაიხოცება. ამიტომ მთავრი ლალიანობის პერიოდიდან— ვე უნდა ვეცადოთ, რომ ფუტკარს ზამთრისათვის დაუტოვოთ ზაფხულში მიღებული კარგი ხარისხის თაფლი, ვინაიდან შემოდგომით ხშირად ფუტკრები „მანანას“ თაფლს აგროვებენ, რომელიც ადამიანის საკვებად ცუდი არ არის; ფუტკრისათვის კი ხშირად დამღუცველი ხდება.

ხის ფოთლებზე მწერები ტკბილ სითხეს გამოყოფენ—გვალვის დროს, ამ სითხისაგან დამზადებული თაფლი არის „მანანა“ თაფლი, რომელიც არასასიამოვნო გემოსია, არომატი არა აქვს, გაუმჭვირვალეა ხშირად მუქი ფერისა გვხვდება, ხანდისხან ძნელია „მანანა“ თაფლის გარჩევა ყვავილოვანი თაფლისაგან.

საეჭვო თაფლის ვარგისიანობა ყველა მეფუტკრემ უნდა განსაზღვროს. საერთო თაფლის მცირე რაოდენობას ჩავდებთ მინის სუფთა ჟურქელში და გავხსნით იმავე რაოდენობის წყალში. მიღებულ ხსნარს დაუმატებთ 10 წილ ღვინის სპირტს და კარგად შევაწყლეთ, თუ „მანანა“ თაფლია—ხსნარი აიმღვრევა.

მთავარი ლალიანობის დამთავრების შემდეგ ფუტკრები თვითონვე იწყებენ ნელნელა დაზამთრებისათვის მზადებას. ისინი ხოცავენ და სკაში აღარ უშვებენ მამალ ფუტკრებს, საფრენს ავიწროვებენ დინდგელით და ჩარჩოებსაც კარგად ამაგრებენ ერთმანეთთან.

დედა ფუტკარი ამცირებს კვერცხის დებას, რის შედეგადაც ბარტყის რაოდენობა მცირდება. ტემპერატურის დაწევასთან დაკავშირებით ისინი ქმნიან გუნდს. მეფუტკრემ ღროულად უნდა იზრუნოს ფუტკრის დაზამთრებისათვის.

პირველ რიგში საკუჭნაოები უნდა მოვხსნათ, სკიდან ზედმეტი ცარიელი ჩარჩოები უნდა ამოვილოთ. ფუტკრის ყოველ ოჯახზე საჭიროა დავტოვოთ ზამთრისათვის 18—20 კილოგრამი კარგი ხარისხის თაფლი და ორი ჩარჩო ჭერა.

უდედო ღახას ყოველთვის ცუდათ გამოიზამთრებს, ამიტომ უნდა შევამწმოთ დედის არსებობა ოჯახში და თუ დედა არ არის საჭიროა მივცეთ მარაგი დედებიდან.

თუ რომელიმე ოჯახს საკმაო საკვები არა იქვს უნდა მიუკეთდეთ
კარგი ხარისხის თაფლი ან შაქრის ბადაგი. ღაზამორებისათვის უმიზუაშე
რის ბადაგს ამზადებენ სამი წილი შაქრისა და ორი წილი წყლისა-
გან. წყალი წინასწარ უნდა ვაღულოთ და მერე ჩავყროთ შაქრს,
გვადნობთ აღულებამდე, შემდეგ გავაციებთ 25—30 გრადუსამდე და
საღამოს მივცემთ ფუტკრებს. უმჯობესია ბადაგი ჩავასხათ ცარიელ
ტიჭაში. ფიჭიდან უფრო ჩქარა აითვისებენ საკვებს. რომელსაც
გადაიტანენ ბუდის ცენტრში.

შაქრის მიცემა დანაკლისი საკვების შესავსებად უნდა ვიანგარი-
შოთ დახარჯული შაქრის რაოდენობიდან. ასე მაგალითად: თუ
ოჯახს ესაჭიროება 5 კ/გრამი საკვების დამატება, მაშინ უნდა მივ-
ცეთ არა 5 ლიტრი ბადაგი, არამედ 5 კ/გრამი შაქრისაგან დამზადე-
ბული ბადაგი, ე. ი. 6—7 ლიტრი.

ზამთრისათვის ბუდეში შეიძლება ისეთი ჩარჩოების დატოვება,
რომელზედაც არის არანაკლებ 1,5—2 კ/გრამი თაფლი. ძლიერ ოჯახს
უტოვებთ 9—10 ჩარჩოს, საშუალოს 7—8, სუსტ ოჯახს კი 5—6
ჩარჩოს. უმჯობესია თაფლით სავსე ჩარჩოები ბუდის ნაპირებზე
დავტოვოთ, ცენტრში მოთავსებულ ფიჭებზე კი შეიძლება იყოს
თაფლი ნახევარზე ან ცოტა მეტი.

ზამთარში ფუტკრის გუნდი მოძრაობს, გადადის იქ საითაც საკ-
ვებია. ცენტრში ადრე განთავისუფლდება ჩარჩოები თაფლისაგან,
რაც საშუალებას აძლევს დედა ფუტკარს ადრე გაზაფხულიდან
კვერცხის დების დაწყებისა. დედა ფუტკარი კვერცხის დებას ბუდის
ცენტრიდან იწყებს, სადაც სითბოს დაცვა უფრო ადვილია.

სკა კარგად უნდა დავათბუნოთ სათბუნებელი ბალიშებით ზევი-
ლან და გვერდიდანაც, სადაც დიაფრაგმა აუცილებლად უნდა იყოს
ჩარჩოებსა და ბალაშებს შორის. საფრენსაც შევამცირებთ.

ჰაერში 8 გრადუსზე ქვევით ტემპერატურის დროს ფუტკრები
უკვე ქმნიან გუნდს. გუნდის შიგნით ისინი იცავენ ტემპერატურას
14 გრადუსზე ზევით. ზოგჯერ ტემპერატურა 25—34 გრადუსს
აღწევს. რაც უფრო მეტი სიცივეა, მით უფრო ახლოს შეიკვრება
უნდი. ტემპერატურის მომატებისას კი გუნდი გაიშლება.

ზამთრის განმავლობაში ფუტკრები საშუალოდ 1 თვეში ხარჯავენ
1 კ/გრამ საკვებს. გაზაფხულიდან სითბოს მომატებასთან ერთად
ბუდეში გაჩნდება ბარტყი, რის შემდეგაც საკვების დიდი რაოდე-
ნობით ხარჯვა იწყება.

ფუტკარი, ისევე როგორც სხვა მწერები და ცხოველები ყვალდებანიან ინფექციური და ინვაზიური დაავადებით.

დაავადებული დედა ფუტკარი ამცირებს ან მთლიანად შესწყვეტს კვერცხის დებას. დაავადებული მუშა ფუტკარიც ამცირებს ბარტყის გამოზრდას, სანთლის გამოყოფას და თაფლის შეგროვებას. ყოველივე ეს ასუსტებს ოჯახს და ხშირად მთლიანადაც სპობს.

დავირცვებიდან ჩანს, რომ თუ ოჯახი 30 პროცენტით არის დაავადებული რომელიმე ავადმყოფობით, მაშინ თაფლის შეგროვება 2—3-ჯერ მცირდება; ხოლო 50—60 პროცენტით დაავადებისას კი ოჯახი საკრძნობლად სუსტდება და თაფლს აღარ ავროვებს.

ფუტკრის დაავადება ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, ინფექციური და ინვაზიური. ინფექციური დაავადების რამდენიმე სახე არსებობს, მათვან ჩვენში ყველაზე უფრო გავრცელებულია ევროპული და ამერიკული სიდამპლე.


ევროპული სიდამპლე—ფუტკრის ერთ-ერთი საშიში დაავადება, რითაც ავადდება გადაუბეჭდავი ანუ ლია ბარტყი. ამ დაავადების წარმოშობას ხელს უწყობს ბუდის გაციება, საკვების ნაკლოვანება და ოჯახის საერთო სისუსტე. ამ დაავადების გამომწვევია ბაქტერია პლუტონი.

ევროპული სიდამპლე თავს იჩენს ზაფხულის პირველ ნახევარში მაის—ივნისში, ხოლო ივლისის ბოლოს დაავადება თანდათან ქრება. დაავადების ხანგრძლივობა დამოკიდებულია ოჯახის აქტიურობასა და მკურნალობაზე.

დაავადების ნიშნები ასეთია: ავადმყოფი ბარტყი (გადაუბეჭდავი) კარგავს თავის მრგვალ ფორმას, ლებულობს მღვრიე თეთრ ფერს, რომელიც თანდათან ყვითლდება და გადადის მუქ ყავის ფერში, აქვს არასასიამოვნო მეავე სუნი. (იხ. სურათი № 4) დაავადების გავრცელება ხდება თვით ფუტკრებისგანვე, ზოგიერთ შემთხვევაში კი მეფუტკრის უყურადლებობით; ფუტკრები ასუთავებენ უზრედებს, სადაც ავადმყოფობისაგან დახოცილი ბარტყია. ამ გასუფთავების დროს ისინი ლებულობენ ბაცილას; რომელიც გადააქვთ ჯანმრთელ ბარტყთან მათი კვების დროს. ამრიგად ავადმყოფობა თანდათან მთელ ოჯახში ვრცელდება.

ინფექციური დაავადების გავრცელება ხშირად ხდება ქურდი ფუტკრებისაგან და იმ ფუტკრებისაგან, რომლებიც შემთხვევით მოხვდებიან დაავადებულ ოჯახში, ავადმყოფობის სწრაფად გავრცელდება.

ლებას ხელს უწყობს მეფუტკრის მიერ ჩარჩოების გადატანა ავალ-
მყოფი ოჯახიდან ჯანმრთელში, ინვენტარის ხმარება დეზინფექციური
გარეშე და ყოველგვარი ზოო-ჰიგიენური წესების დარღვევა. გაჭრა ჰარმონი



სურ. 4. ევროპული სიღამპლით მკვდარი ღია ბარტყი

1. ჯანმრთელი მური,
- 2) ახლად დაავადებული მური,
3. დაავადებული სახეშეცვლილი მური.

ამისა ევროპული სიღამპლე გადადის თაფლისა და ჭერს მეშვეობი-
თაც, სადაც ინფექციის გამომწვევი მიკრობები დიდხანს ცოცხლო-
ბენ. ერთი საფუტკრიდან მეორეში დაავადების გადატანა ხდება—
მოზრდილი მამალი ფუტკრებისაგანაც, რომლებიც ფრენენ საფუტკ-
რებს შორის დედის გასანაყოფიერებლად.

ამ ერთიკული სიღამპლე ევროპული სიღამპლის გართუ-
ლებული ანუ მწვავე ფორმაა, რითაც ავადდება მოზრდილი—გა-
დაბეჭდილი ბარტყი. ამ ერთიკული სიღამპლე ჩატარება ზაფხულის მე-
ორე ნახევარში. მისი გამომწვევია მიკრობი-ბაცილუს ლარვე, იგი
სპოროვანი და მეტად გამძლე მიკრობია.

გარდაბეჭდილი ბარტყის ზედაპირი მობურცული კი არა, რო-
გორც ეს ჩვეულებრივად ჯანმრთელ ბარტყს აქვს, არამედ პირიქით-

ჩაწეულია და ზოგჯერ პატირა ნახვრეტიც აქვს, რაც იმას ნიშნავს,



რომ ჭუპრი მკვდარია.

ამ დაავადებისთვისაც დამახასიათებელია არა სასიმოვნო მეავე სუნი. ისანთის ლერით გასინჯვისას დაავადებული ჭუპრი გვაძლევს ძაფისებურ წევადობას. ევროპული სიდამპლის დროს კი დამპალ მასის წევადობა არა აქვს. დაავადების წარმოშობის და გავრცელების გზები იგივეა რაც ევროპული სიდამპლის დროს.

ინფუქციური დაავადების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა პროფილაქტიკური ლონისძიებების გატარება: საფუტკრეში უნდა დავიცვათ ზოო-ჰიგიენური წესები, აუცილებელია ავადმყოფი ოჯახის იზოლაცია, სკებისა და ყოველგვარი ინვენტარის დეზინფექცია, ფუტკრების გადაყვანა ახალ სკებში, ჯანმრთელ ფიჭებზე და მკურნალობა.

მკურნალობის დაწყებამდე პირველ რიგში საჭიროა ავადმყოფი ოჯახი გადავიყვანოთ ახალ დეზინფიცირებულ სკაში. ფიჭებიც უნდა იყოს ჯანმრთელი, გადაყვანა შეიძლება მოვახდინოთ ცარიელ ფიჭებზე ან თაფლიან ფიჭებზე. უკერტს შედეგს იძლევა დაავადებული ფუტკრის გადაყვანა ცარიელ ჯანმრთელ ფიჭებზე და მერე მკურნალობა. მკურნალობის ჩასატარებლად უნდა დავიზადოთ შაქრის ბადაგი განზავებით $1:1$, ე. ი. ერთი წილი წყალი და ერთი წილი შაქარი. წყალს წინასწარ ავადულებთ, ჩავყრით შიგ შაქარს და ურევთ სანამ კარგად გაიხსნებოდეს, შემდეგ გავაციებთ 30 გრალუსამდე.

ყოველ ერთ ლიტრ შაქრის ბადაგზე უნდა ავილოთ პენიცილინი 500 ათასი ერთეული და ნორსულფაზოლნატრიუმი ერთი გრამი. პენიცილინს გავხსნით ნახევარ ჭიქა წინასწარ აღუღებულ ცივ წყალში, ნორსულფაზოლნატრიუმს კი გავხსნით წინასწარ აღუღებულ ცბილ წყალში. ორივე ხსნარს აურევთ დამზადებულ შაქრის ბადაგს კვების წინ.

ფუტკრის კვება სამკურნალო მიზნითაც სალამოს უნდა ვაწარმოოთ, რათა თავიდან ავიცილოთ ჭურდობა. ყოველ ერთ ჩარჩო ფუტკაზე უნდა მივცეთ 100—150 გრამი სამკურნალო ხსნარი, 3—4 დღის ინტერვალით, სულ 4—5-ჯერ. თუ ოჯახში სიდამპლის ნიშნები კიდევ დარჩა, მკურნალობას განვაგრძობთ სამკურნალო ხსნარის 6—7-ჯერ მიცემამდე. შაქრის ბადაგის დამზადებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2 კ/გრამი შაქრისა და 2 ლიტრი წყლისაგან მიიღება 3 ლიტრი ბადაგი, 5 კილოგრამი შაქარი გახსნილი 10 ლიტრ წყალში გვაძლევს. 12 ლიტრ ბადაგს. საფუტკრეში ჯანსაღ

ოჯახებს პროფილაქტიკის მიზნით სამკურნალო ხსნარი იგივე რაოდ დენობითა და შეზავებით ორჯერ ეძღვევა.

გარდა ნორსულფაზოლნატრიუმისა და პენიცილინისა ისმარება სხვა ანტიბიოტიკებიც: ყოველ ერთ ლიტრ შაქრის ბადაგზე იჭებენ 0,2—0,3 გრამ ტერამიცინს ან ერთ გრამ ნორსულფაზოლნატრიუმს. ასევე შეიძლება მივცეთ ყოველ ერთ ლიტრ ბადაგზე 900 ათასი ერთეული პენიცილინი ან 500 ათასი ერთეული სტრეპტომიცინი ან 300 ათასი ერთეული ბიომიცინი. მაგრამ ცდებით დადასტურებულია, რომ 100 პროცენტიან განკურნებას იძლევა პენიცილინისა ნორსულფაზოლნატრიუმის შერეული სახით მიცემა. ეს პრეპარატები და ღოზები გამოიყენება, როგორც ევროპული, ისე აშერიყული სიდამპლით დაავადების დროს.

გარდა ინფექციური დაავადებისა, საფუტკრეში ხშირად აღვილი აქვს ინვაზიურ დაავადებასაც. ინვაზიური დაავადებიდან ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია ნოზემატოზა, და ამებიოზა.

ნოზე მატოზით ავადება მოზრდილი ფუტკარი. მისი გამომწვევია პარაზიტი ნოზემა აპის, რომელიც ფუტკრის ორგანიზმზე მოხვედრილი, საკვებთან ერთად გადადის ფუტკრის შუა ნაწლავში იქ მრავლდება და იწვევს საქმლის მომნელებელი ორგანოების აშლილობას—ფალარათს. ნოზემატოზით ხშირად დედა ფუტკარიც ივადდება, რაც ზოგჯერ სიკვდილით მოაერდება.

ეს დაავადება ფუტკრებს ხოცავს იმ შემთხვევაში თუ ბუდეში არის ტემპერატურა 22—34 გრადუსამდე. 22 გრადუსზე ქვევით და 34 გრადუსზე ზევით ტემპერატურის დროს ნოზემა ვერ ვითარდება და ოჯახი ამ დროს გამოჯანმრთელდება.

ნოზემატოზა ჩნდება ზამთრის მეორე ნახევარში თებერვლის ბოლოს, მისი განვითარება მაქსიმუმს აღწევს V—VI თვეს და VIII—I X თვეში მცირდება. დაავადებული ოჯახი გაზაფხულზე დალექსტრია. აშკარად შესამჩნევია ფუტკრის ფალარათი, სკის კედლებზე, ჩარჩოებზე, ფიჭებზე, თაფლზე, რაც ხელს უწყობს ავადმყოფობის სწრაფ გაფრცელებას.


ნოზემას სპორა ძალიან გამძლეა. იგი თაფლსა და ჭეოში აგრძელებული ფუტკრის ორგანიზმში ერთ წლამდე ინახება. ფალარათით დალექავებულ ჩარჩოებზე და სკის კედლებზე სპორა საში თვიდან წლამდე ცოცხლობს.

მკურნალობის მიზნით ხმარობენ პრეპარატებს: ფტალაზოლს, ბიომიცინს, ნაზიმაკს, ენავილინს და ფუმაგილინს. ყველაზე კარგ შედეგს იძლევა ფუმაგილინი, რომელიც ზამთარში უნდა



მრვეცეთ ერთ ოჯახს 0,15—0,2 გრამი ერთ პროცენტიან სპეციალურ ხსნარში შეერევით. ყოველივე ამას გავხსნით ორ ლიტრა აშშ-ის გადაგზე. გაზაფხულზე კი ერთ ლიტრ ბადაგზე 40—50 მილიგრამ ფუძმაგილინს ვაძლევთ 4-ჯერ 5—7 დღის ინტერვალით. ფუძმაგილინი წინასწარ ერთ პროცენტიან სპეციალურ ხსნარში უნდა შეურიოთ. ბიო-მიცინი ეძლევა 0,3 გრამი ერთ ლიტრ ბადაგზე ან ერთი გრამი ფტალაზონი. ნოზემატოზით დაავადების საწინააღმდეგოდ ყველაზე ტარგ შედევს იძლევა საფუტკრეში სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარება: ბუდის სრული გამოცვლა, სკის, ჩარჩოებისა და სათბილობელი ბალიშების დეზინფექცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაჭიოთ საკედის ხარისხს. სკაში თუ „მანანა“ თაფლია ის აუცილებლად უნდა შევცვალოთ კარგი ხარისხის თაფლით ან შაქრის ბადაგით.

ფიცის ჩრჩილი — ჩრდება ჩრჩილის პეპელას მიერ, რომელიც დებს კვერცხებს სკის ხვრელებში, კედლებში და სანთლით დაჭუცუიანებულ ადგილებში, აქედან იზრდება მური; მური იცვებება სან-



სურ, 5. ჩრჩილით დაქსელილი ფიცა

თლით, რომელიც მატლად გარდაიქმნება და აზიანებს ფიცას მთლიანად: ფიცის ჩრჩილი სწრაფად მრავლდება ფუტკრის იმ ოჯახებში, სადაც სიბინძურეა, სადაც არ იცავენ ზოო-ჰიგიენურ პირობებს.

თუ ოჯახში ზედმეტი ცარიელი ფიცებია, რომელსაც ფუტკარი

ვერ ფარავს ესეც ხელს უწყობს ჩრჩილის გამრავლებას. ჩრჩილის
საწინააღმდეგო ზომების მისაღებად პირველ რიგში საჭიროა უფრო მაღალი
ცუტკრეში და საწყობში დაცული იქნეს სათანადო ზოო-ჰიგიენური
პირობები; მარავი ფიჭები საწყობში უნდა ჩამოვკიდოთ ისე, რომ
ერთმანეთს არ ეხებოდეს და მათ შორის ჰაერი მოძრაობდეს. დიდ
საწყობებში, სადაც ფიჭები ბევრია აწარმოებენ გოგირდის შებოლე-
ბას, რაც ძალიან კარგ შედეგს იძლევა ჩრჩილის მოსასპობად.

ჩრჩილის საწინააღმდეგოდ უნდა ვეცადოთ, რომ ცუტკრის
ოჯახში არ დავტოვოთ ზედმეტი ცარიელი ჩარჩოები. უნდა დავტო-
ვოთ იმდენი ჩარჩო, რამდენსაც ფუტკარი ფარავს.

ბრაული იოზი — ანუ ფუტკრის ტილი. ეს ყავისფერი პატარა
და მრგვალი მწერია, რომელიც ცხოვრობს მუშა ფუტკრისა და დე-
დის ორგანიზმზე, უმეტეს შემთხვევაში თავისა და კისრის არეში.
ეს მწერი კვერცხებს სდებს თაფლიან ფიჭების ზეღაპირზე, მისგან
გამოსული მური იყვებება თაფლითა და ჭრითი, მერე კი გადადის
ფუტკრის ორგანიზმზე და აქედან ვრცელდება სხვა ოჯახებშიც.

ბრაულიოზის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაბეჭდილ ფიჭებს
გადაფხევავენ და გადაადნობენ სანთელს ყოველ 7—10 დღეში
ერთხელ. ფიჭაზე მოხვედრილი ბრაულის კვერცხი და მური გადად-
ნობისას მაღალ ტემპერატურაზე კვდება.

მოზრდილი ბრაულის მოსასპობად ქაღალდზე ყრიან ნაფტალინს
და შეაქვთ. სკაში ჩარჩოების ქვეშ. დილით ამ ქაღალდს გამოილებენ,
რომელზედაც ყრია ბრაულა და დაწვავენ. ნაფტალინი სკაში შეაქვთ
2 დღეს ზეღიზედ, 10 დღის შემდეგ შეამოწმებენ და თუ ბრაულა
კიდევ აღმოჩნდა ნაფტალინის მიცემას გაიმეორებენ მანამდე, სანამ
ბრაულა მთლიანად არ მოისპობა. ზოგიერთი მეუფრერები ბრაუ-
ლის საწინააღმდეგოდ იყენებენ თაბაქოს ბოლსაც, მაგრამ ყველაზე
კარგ შედეგს ფენოთიაზინის სკაში შებოლება იძლევა.

ცუტკრის მოწამვლა

ცუტკრის მოწამვლა შეიძლება გამოწვეული იყოს ნექტარით,
უვავილის მტვერით, მანანა თაფლით და სხვადასხვა შხამქიმიკატე-
ბით. რომლებიც გამოიყენება მინდვრის შეწამლის დროს.

ნექტარით მოწამვლა — გამოწვეულია ზოგიერთი მცე-
ნარების მიერ გამოყოფილი მომშხამველი ნექტარით. ნექტარით
მოწამლული მოღალე ფუტკარი მინდოორშივე იხოცება, ახასიათებთ
კიდურებისა და მუცლის კრუნჩევები და ბოლოს დამბლა, ფრენის
ღროს კარგავს წონასწორობას.

დავადება ლალიანობის დაწყებისთანავე ქრება. სამკურნალო
მიზნით ფუტკარს კვებავენ შაქრის ბადავით (1-შილი შაქარი ჭიშკარული
ლი წყალი).

უვავილის მტვერით—ფუტკრის მოწამვლა ხდება ზოგი-
ერთი მცენარის მიერ გამოყოფილი მომწამვლელი მტვერით. ამ
დავადებას ხელს უწყობს დაბალი ტემპერატურა, ხშირი წევიმები,
სიცივე, ნექტარის ნაკლებობა და მტვრის სიუხვე, რის გამოც ადგი-
ლი აქვს ახალგაზრდა ფუტკრების კუჭ-ნაწლავის აშლილობას, რითაც
ფუტკარი იხოცება. დაავადება ხშირად თავს იჩენს გაზაფხულზე
სიცივეებისა და წვიმიანი ამინდების შემდეგ. დაავადებულ ოჯახს
სამკურნალო მიზნით შაქრის თხელი ბადავი უნდა მიცემოთ 1 : 2.

მანანა თაფლი—ორგვარია მცენარეული და ცხოველური
წამროშობისა.

მცენარეული წარმოშობის მანანა თაფლი მიიღება. მცენარის
ფოთლებზე გამოყოფილი ტკბილი წვენისაგან, რომელსაც მცენარე
გამოყოფს არახელსაყრელი ბუნებრივ კლიმატური პირობების ღროს,
რასაც ხელს უწყობს ხანგრძლივი გვალვები, სიცხეები, ტემპერატუ-
რის მკვეთრი მერყეობა და სხვა. ცხოველური წარმოშობის მანანა
თაფლი მიიღება სხვადასხვა მწერების ექსკრემენტებისაგან, რომ-
ებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან ხის ფოთლებზე და იკვე-
ბებიან მათი წვენით.

ფუტკარი ხის ფოთლებზე გამოყოფილ ამ ტკბილ წვენს აგრო-
გიბს და მიაქვს სკაში, რომლისგანაც მიიღება არასრულფასოვანი—
მანანა თაფლი. მანანა თაფლი ფუტკრების საკვებად საწამლავს წარ-
მოადგენს, აღამიანისათვის კი გამოიყენება მაგრამ ნაკლებ ხარისხო-
ვანია.

მანანა თაფლი მუქი ყავისფერია, ხშირად გაღაუბეჭდავია, უარო-
მატო და არასასიამოვნო გემოსი. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს
აზოტოვან ნივთერებას, რომელსაც ფუტკარი ვერ ინელებს და
ხდება კუჭ-ნაწლავის აშლილობა-ფალარათი.

ფუტკრის დაზამორება მანანა თაფლით იწვევს ოჯახის დასუსტე-
ბას, ხშირად იგი დამლუპველიცაა. ამიტომ საჭიროა მეფუტკრემ იგი
ზაფხულშივე შეცვალოს კარგი ხარისხის თაფლით ან შაქრის ბა-
დავით.

ქიმიური ტოქსიკოზი—უკანასკნელ ხანებში ფართოდაა
გამოყენებული მინდვრისა და ბალების შეწამვლა მავნებლებისა და
სარეველა ბალაზების საწინააღმდევოდ.



შეწამვლა ხდება სხვადასხვა შხამქიმიკატების გამოყენებით, რომელიც მომდევნობილი იწვევენ ამავე დროს ფუტკრების მოწამვლისაც.

შხამქიმიკატებით ძირითადად მოღალე ფუტკარი იწამლება. მათ შემცირდება რაოდის და მტვერი არამოღალე ფუტკრებისაც წამლავს.

დავადების ხანგრძლივობა დამოკიდებულია თვით შხამქიმიკატის თვისებებზე, ამინდზე (ქარისა და წვიმის დროს მოწამვლა უფრო ხანმოკლეა) შეწამვლის დროსა და მეოთხდზე.

მოწამლული ფუტკარი აგზნებულია, ფრენს არასიმეტრიულად, ბარბაცებს, ბოლოს ემართებათ კრუნჩევები, რასაც მოსდევს დამბლა და სიკედილი. განსაკუთრებით შესამჩნევია უკანა ნაწლავის გადავსება, შუა ნაწლავი კი ნორმალურთან შედარებით შემცირებულია.

ქიმიური ტოქსიკოზით ზოგჯერ საფუტკრე მთლიანად ისპობა. შევდარი ფუტკრები დიდი რაოდენობითაა ყვავილებზე, ხის ძირებში, საფუტკრის ტერიტორიაზე და სკის ირგვლივ.

შხამქიმიკატებით ფუტკრის მოწამვლის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მოვახდინოთ საფუტკრის იზოლაცია-გადატანა მოწამლული ადგილიდან 5—10 კილომეტრის დაშორებით.

თუ საფუტკრის გადატანის საშუალება არა გვაქვს მაშინ აუცილებელია ფუტკარი სკაშივე ჩავკეტოთ (დავამწყვდიოთ). მაგრამ ფუტკრის დამწყვდევა იწვევს მათ მოუსვენრობას. ფუტკრები ცდილობენ გარეთ გამოსვლას, აღიგზნებიან, სკაში ტემპერატურა მაღლა იწევა ამან კი შეიძლება მათი დახურვა გამოიწვიოს.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სკას გაუკეთდეს კარგი ვენტილაცია. ფუტკარი უხვად უნდა მოვამარავოთ წყლით. საფრენი დაცული უნდა იყოს სინათლის გამაღიზიანებელი მოქმედებისაგან მჩედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მათი საკვებით უზრუნველყოფაც.

უმჯობესი იქნება თუ დამწყვდებულ ფატკარს სკაში საკვებურებით მივცემთ შაქრის თხელ ბადავს ერთ ან ორ ლიტრს.

საფრენი საღამოს უნდა გავხსნათ, ხოლო მეორე დილით აღრესანამ ფუტკარი სკიდან გამოფრინდება, საფრენი ისევ უნდა ჩავკეტოთ.

სკაში ფუტკარი დამწყვდებული უნდა გვყავდეს მანამ, სანამ შხამქიმიკატების მოქმედება არ მოისპობა.



სხვადასხევა შხამქიმიყატების გამოყენებისას ფუტკრის იზოლუტურული სანერბლივობა სხვადასხევა.

საშუალოდ ფუტკრის იზოლაცია უნდა მოვახდინოთ დღი პრეპარატით ბალების დამუშავებიდან 3-დღე, დარიშხანის შემცველი პრეპარატების გამოყენებისას 5-დღე, ჰერბიციდების, ბორდოს ხსნარის და მინერალური ზეთების გამოყენებისას ფუტკრის ოჯახები უნდა ჩაიყეტოს შეწამვლის დღეს-დღლით და გაიღოს წამლობის დამთავრებიდან 5-საათის შემდეგ.

ჰექსაქლორანის (თიოფონი) გამოყენებისას ფუტკარი უნდა ჩაიკეტოს 2-დღე.

საჭიშე მუშაობა საფუტკრეში

მაღალპროდუქტიული ოჯახების მისალებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭიშე მუშაობას საფუტკრეში. ფუტკრის ოჯახთა მაღალპროდუქტიულობა დამოკიდებულია არა მარტო მასში ფუტკრების რაოდენობაზე, არამედ ფუტკრის ხარისხზედაც, მათ შთამომავლობით ნიშანთვისებებზე, რომელიც გადაეცემა მუშა ფუტკარს მათი მშობლებისაგან—დედისა და მამისაგან.

საჭიშე საჭმეში ღიდი მნიშვნელობა აქვს შერჩევისა და გადარჩევის გზით საუკეთესო ინდივიდთა შეჯვარებას. შერჩევა და გადარჩევა საფუტკრეში მიმდინარეობს შემდეგნაირად: საფუტკრეში ყველა ოჯახს უქმნიან ერთნაირ პირობებს ბარტყის გამოსაზრდელად, თაფლის შესაგროვებლად და სანთლოს გამოსაყოფად. უზრუნველყოფენ ერთნაირი ხარისხის ფიჭით, ამარავებენ საუკეთესო თაფლიანი ჩარჩოებით და მოათვეხებენ კარგ სკებში.

შერჩევის დროს მეფუტკრემ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ ოჯახებს, რომლებიც გამოირჩევიან თავისი პროდუქტიულობით, რომლებიც უფრო სწრაფად მრავლდებიან, ძლიერდებიან; ასევე უნდა შეირჩეს დავადების მიმართ გამდლენი, ცუდი ბუნებრივი კლიმატური პირობების ამტანნი და ისეთები, რომლებიც ყველაზე ძარგად გამოიყენებენ ღლიანობას ე. ი. რომლებიც ყველაზე მეტ თაფლს შეაგროვებენ და სანთელს გამოყოფენ.

ასეთი გაცვლილან ყოველწლიურად უნდა გადაირჩეს ყველაზე მაღალპროდუქტიული ოჯახები და მხოლოდ მათგან უნდა შეიქმნას ახალი ოჯახები.

ყველაზე მაღალპროდუქტიულად ითვლება ქართული მთის რუხი ფუტკარი, რომელსაც თავისი გრძელი ხორთუმის (6,9—7,1 მმ) მეშ-

ვეობით შეუძლია ნექტარის ამოღება ისეთი ყვავილებიდანაც ცა
რომლებსაც სანექტრეები ღრმადა აქვთ განწყობილი.

საქართველოს

სამუშაოდ ფრენას იწყებს დილით ადრე და ნექტარი მო-

აქვთ გვიან საღამომდე, იგი მცირე წვიმიან ამინდშიც კი ფრენს, ნექტარის მოსატანად. დაავადების მიმართ საკმაოდ გამძლენი არიან და ცუდი ბუნებრივ კლიმატური პირობების ამტანნი. კარგად იცავენ საკუთარ ბუდეს გარეშე მტრისაგან; ახასიათებთ ნაკლები ნაყრიანობა, რითაც განსხვავდება სხვა სახის ფუტკრებისაგან და დიდი რაოდენობით აგროვებენ თაფლს, ამიტომ უმჯობესი იქნება დავაკომპლექტოთ ყველა საფუტკრე ქართული მთის რუხი ფუტკრის მაღალ-პროდუქტიული დედებით.

წლების მანძილზე დედა ფუტკრების შეჯვარება ერთი და იგივე საფუტკრეში გამოყვანილ მამალ ფუტკრებთან იწვევს ნათესაურ მოშენებას, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ პროდუქტიულობაზე; სუსტდება ფუტკრების გამძლეობა დაავადების მიმართაც. ამის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება პერიოდულად 2—3 წელი-წალში ერთხელ მოვახდინოთ „სისხლის განახლება“. ამიტომ მიზან-შეწონილი იქნება ვაწარმოოთ დედების გაცვლა მოწინავე საფუტკრეებს შორის.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება იძლევა საფუტკრეში მაღალპროდუქტიული ოჯახების მიღების დიდ შესაძლებლობას. ეს კი წინა პირობაა თაფლის უხვი მოსავლის მისაღებად.

შ 0 6 5 1 8 0

| | |
|---|----|
| 1. შესავალი | 1 |
| 2. ფუტკრის ბიოლოგია | 5 |
| 3. ფუტკრის ძლიერი ოჯახის უპირატესობა | 10 |
| 4. საფუტკრის მოწყობა და საგაზაფხულო სამუშაოები | 11 |
| 5. ხელოვნური ფიჭა | 13 |
| 6. დედა ფუტკარი | 14 |
| 7. დედაფუტკრის ხელოვნური გამოყვანა | 15 |
| 8. ცრუ დედა ფუტკარი | 16 |
| 9. ფუტკრის შენახვა მრავალყორძეული სკებში | 18 |
| 10. ქურდობა ფუტკრებს შორის და მასთან ბრძოლა | 19 |
| 11. ფუტკრის ახალი ოჯახების მიღების მეთოდები | 22 |
| 12. ბუნებრივი გამრავლება | 22 |
| 13. ნაყრები ნაყრის შედგენა | 23 |
| 14. ინდივიდუალური ნაყრის შედგენა | 23 |
| 15. „მიზრენის“ წესი | 24 |
| 16. ოჯახის გაყოფა მტრინავი ფუტკრების ნახევრით | 25 |
| 17. ნუკლეუსების შედგენა სანაყრედ მომზადებული ოჯახებიდან | 25 |
| 18. ფუტკრის ოჯახთა სწრაფი გამრავლების წესი სანაყრე სა- დელების გამოყენებით | 26 |
| 19. ფუტკრის დაზიშორება | 27 |
| 20. ფუტკრის დავადებანი | 30 |
| 21. ფუტკრის მოწამვლა | 35 |
| 22. საჭიშე მუშაობა საფუტკრეში | 38 |



Министерство сельского хозяйства СССР

Главное управление сельско-хозяйственной науки
пропаганды и подготовки кадров

Натела Арчиловна Степанишвили

Методические указания по получению новых
пчелиных семей

(для начинающих пчеловодов)

(на грузинском языке)

19 ТБИЛИСИ 65



สำนักนายกรัฐมนตรี

สำนักงานหอสมุด